საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 27 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 167 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 167

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

დიდათ დამწუხრებული მეუღლე ივანე გრიგოლის ძე შვილი გედიკო, დედამთილი მარიამი და მულები: ბაბულა და ნინა ნავროზაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 25 ივლისს გარდაიცვალა ცემში

ვალერიანა ნიკოლოზის ასული ნავროზაშვილი

დასაფლავება მოხდება 29 ივლისს დღითი ხუთშაბათს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2448—1—1)

ცოლი ზინაიდა ევგენის ასული ოთარაშვილისა, სიდედრი თინათინ ივანეს ასული მუსლოვისა და ამხანაგები აცნობებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ შაბათს 31 ივლისს, აბასთუმანში ალექსანდრე ნევსკის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ნიკო ოთარაშვილის

სულის მოსახსენებლათ. (უ. 2—1)

თფილისის სააღმზრდელო (ბ) ინსტიტუტი
(არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთან).
ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება სწარმოებს
20 ივლისიდან 30 აგვისტომდე
როგორც პირველის, ისე მეორე საფეხურისათვის,—ყველა დარგებზე. მიიღება თხოვნები აგრეთვე ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ყველა კლასებში. მისამართი: თფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 91. კანცელარია ღიაა: 8—11 ს. დილით—ყოველ დღე (უქმის გარდა). (ნ. 12—2)

მომარაგების
სამინისტრო
ამით აცხადებს, რომ სადგურ ყაზბეგში და თერგის ოლქში მას ყავს სურსათის შესაძენათ თავისი წარმომადგენლები, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით. აღნიშნულ რწმუნებულთა გარდა არავის არა აქვს სამინისტროსაგან ასეთი მინდობილობანი.
გარდა ამისა არავის არა აქვს უფლება გაიტანოს ყუბანის და თერგის ოლქებში, საქართველოს საზღვრებიდან რაიმე საქონელი: შაქარი, მანუფაქტურა, ტყავეულობა და სხვა საქონელი, გარდა თვით სამინისტროსი და მის ოფიციალურ ადგილობრივ წარმომადგენლებისა.—მომარაგების სამინისტრო. (ნ. 3—2)

რუსეთის სატრანსპორტო, დაზღვევი და გემთა საზოგადოება
(საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის კონტრაგენტი)
ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით ქ. ფოთში და ბათომში გახსნილია
სატრანზიტო საწყობები.
ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების ყველა კანტორებში და თფილისში, ქალაქთა კავშირში. (2399—2—2)

მეორე ქართული კლუბი
(პლეხანოვის პროსპ. № 129).
სამშაბათს, ივლისის 27
საგაზაფხულო საღამო
საღამოს 5 საათიდან, ფრიად საინტერესო პროგრამით.
ორშაბათობით სინემატოგრაფი.
ხუთშაბათობით მუსიკალურ-ვოკალური საღამოები.
შაბათობით საოჯახო საღამოები.
ყოველ დღე სიმებიანი ორკესტრი ცნობილ დირიჟორის ისილდევის ლოტბარობით.
ლოტო
სადილები წევრთათვის, კანდიდატთათვის და სტუმართათვის შუადღის 1 საათ. საღამოს 5 საათამდინ. (ნ. 1—1)

ექიმი
ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი
იღებს საგებით, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.
2048—თ.

მსურს ვიყიდო
საპარიკმახერო
ქ. თფილისში, უმთავრეს ქუჩაზე ყოველივე მოწყობილობით, პირობების გაგება ქ. ფოთში ნესტორ ჩიხლაძესთან. (2414 4—2)

## დასაძინებელი წამალი

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიჩერინის ნოტა სომხეთის მთავრობისადმი მიმართული. ჩიჩერინი იმეორებს მრავალჯერ მის მიერ ნათქვამ დაპირებებს, რომ ის მეგობრულად უყურებს სომხეთს, ცდილობს გადაარჩინოს სომხის ხალხი განადგურებას, მზათ არის მეგობრული ურთი-ერთობა დაამყაროს საბჭოთა რუსეთსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის. ამასთან ის ჰპირდება ამიერ-კავკასიის ერებს, რომ ხელს შეუწყობს მათ შორის კეთილ-მეზობლური ურთიერთობისთვის დებულების დამყარებას და განსაკუთრებით სომხებს აღუთქვამს, რომ მას შეარიგებს მუსტაფა-ქემალთან.

ჩვენ ვიცით, რომ ასეთი დაპირებები ბევრჯერ გაუგონია ამიერ-კავკასიის ერებს სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. დღევანდელ პირობებში დაპირებები ჩალად არ ღირს, თუ მას არ ახლავს შესაფერი მოქმედება. როგორ მოქმედებს ფაქტიურად საბჭოთა რუსეთი, ან, თუ გნებავთ, მისი განყოფილება ადერბეიჯანში? ადერბეიჯანის ჯარები შესეია არა მარტო ყარაბაღს, რომელსაც ჩიჩერინისვე თქმით მახვილით იპყრობს „წითელი ლაშქარი“ მხოლოდ იმისთვის „რომ თავიდან აიცილოს ორ მეზობელ ერს კონფლიქტები და შექმნას პირობები სადაო ტერიტორიის საკითხების მიუდგომლად და მშვიდობიანათ გადაჭრისა“. რამდენად არ შეეფერება სინამდვილეს ჩიჩერინის განცხადება, სჩანს იქიდან, რომ ადერბეიჯანის ჯარები განაგრძობენ შეტევას სომხეთის წინააღმდეგ და იპყრობენ ისეთ ადგილებს, რომელნიც არას დროს სადავონი არ ყოფილან. ამნაირი მოქმედებით საბჭოთა მთავრობა ემსახურება ერთ მიზანს: მთელი სომხეთის ტერიტორიაზე თავისი დროშა ააფრიალოს, მთელი ეს ტერიტორია სადავო გახადოს და შემდეგ მოიქცეს ისე, როგორც იქცევა ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო. დაეყრდნოს სომხებს ოსმალების წინააღმდეგ, ან სავსებით შეუთანხმდეს ოსმალებს და ამას მსხვერპლად შესწიროს მთელი ერი. ჩიჩერინი ჰპირდება სომხებს, რომ მას „მოუპოვოს საკმარისი ტერიტორია თვითგანვითარებისთვის“. მოსკოველ მაკიაველმა მშვენივრად იცის, რომ ოსმალეთის ნაციონალისტები არას დროს არ შეურიგდებიან სომხეთის სახელმწიფოს არსებობას. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ მუსტაფა ქემალ-ფაშის მოკავშირე ვერ გახდება სომხის ერის დამცველი.

რა მიზანს ემსახურება ჩიჩერინის ნოტა? პრაქტიკულად მხოლოდ ერთს: მიაძინოს სომხის ერის თავდაცვის სურვილი, შეიტანოს დეზორგანიზაცია მის სახელმწიფოებრივობაში. ელაპარაკოს ძმობა-ერთობაზედ და იმავ დროს ადერბეიჯანის ჯარების საშუალებით გააფართოოს სადავო ტერიტორია. ჩვენ მეზობელ სომხეთს არა აქვს საფუძველი მტრულად იყოს განწყობილი მეზობელ ერთა მიმართ. მეგობრობაზედ ისიც მეგობრულ პასუხს უნდა აძლევდეს. ამას მოყვება შესაფერი შედეგი, თუ მისი მთავარი ყურადღება იქნება მიქცეული საკუთარი ძალების გაძლიერებაზე. მისაძინებელ წამლების მიღება იქნებოდა მისთვის თავის არსებობაზედ უარის თქმა. ამ გზას ვერ დაადგება ცოცხალი ერი.

## პრესა

„კომუნისტმა“ რამდენიმე წერილი უძღვნა საკითხს: „შესაძლებელია, ბალშევიკების გამემარჯვენება?“ და მივიდა შემდეგ დასკვნამდის:

„ამ რიგათ, ბალშევიკების გამემარჯვენება შეუძლებელია, ზღაპარია. ისინი გაიმარჯვებენ ამ მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციასთან ერთად, რომლის ხანა უკვე დაიწყო, ხოლო მისი გაჩაღება და დასრულება ფართო მაშტაბით წლების და ათეულ წლების საქმეა, ან და დაეცემიან გამარჯვებულ მსოფლიო რეაქციის მახვილის ქვეშ. „გამემარჯვენებას“ მათ არავინ დაანებებს. ძველი საზოგადოების „ქოფაკი ძაღლები, ღორები და მგლები“ (მარქსის სიტყვებია) შეესევა პროლეტარიატს და მის პარტიას: ბურჟუაზიულ პომეშჩიკური დიქტატურა სისხლში ჩაახრჩობს პროლეტარიატის დიქტატურას. მესამე გამოსავალი შეუძლებელია, „დემოკრატიული“ შუა ოქრო-ადგილი და წონასწორობა დამფრთხალ წვრილ ბურჟუაზიის ოცნება თუ ჩმახვაა. თუ კაცობრიობას „უწერია“ წინსვლა და სისხლიან იმპერიალისტურ ჩიხიდან გამოსვლა, და არა ველურობის ხანაში დაბრუნება, სოციალიზმის გამარჯვება ყოვლათ აუცილებელია, აუცილებელია მაშასადამე ბალშევიზმის გამარჯვება მსოფლიოს მაშტაბით“.

„მემარცხენეობა-მემარჯვენეობის“ საკითხში, როგორც ბევრ პრინციპიალურ საკითხებში, ჩვენ სრულიად სხვა შეხედულებისა ვართ, ვიდრე კომუნისტები: ჩვენ გვგონია, რომ მთელი მათი პრაქტიკა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იყო უაღრესად მემარჯვენე, რადგან იგი თვით რუსეთში ხელს უწყობდა ანარქიას, საწარმოო ძალთა ნგრევას, რუსეთის პროლეტარიატის წელში გატეხას, მილიტარისტული და იმპერიალისტური სულიერი განწყობილების გაძლიერებას. მეორე მხრით ამნაირი ნგრევა-რყევის პოლიტიკა ევროპის დემოკრატიას აფრთხობდა სოციალიზმისაგან, რადგან ბალშევიკური პოლიტიკის წყალობით ჩადენილი ექსცესები, რომლებიც მართლაც საშინელი იყო, ზევრს მიაჩნდა სოციალიზმის თანდაყოლილ თვისებათ. ამით ეჭვი არ არის, ბალშევიკურმა პოლიტიკამ დააბრკოლა სოციალისტური პოლიტიკის გამარჯვება და, მაშასადამე, უაღრესად მემარჯვენე როლი ითამაშა.

უკანასკნელ ხანებში კომუნისტებს დაეტყოთ სურვილი ბალშევიკურ ექსცესებთან ბრძოლისა და ცხოვრებასთან შეგუებულ პოლიტიკის წარმოებისა. ეს მეტადრე ლენინის სიტყვებიდან სჩანს. მაგრამ ეს სჩანს თვით იმ წერილიდან, რომლიდანაც ზემოთ ამოვწერეთ რამდენიმე სტრიქონი. იქ ნათქვამია, რომ სოციალისტური რევოლიუციის „გაჩაღება და დასრულება ფართო მასშტაბით წლების და ათეული წლების საქმეაო“. „კომუნისტმა“ რომ იცოდეს გამოთქმული აზრის ლოღიკურათ ბოლომდის მიყვანა, აქედან იმ დასკვნას გამოიყვანდა, რომ გონიერი პოლიტიკა „ათეულ წლების“ მიზნებთან უნდა იყოს შეფარდებული, რომ ყოველსავე ერს ისეთი საქმე უნდა აკისრებინოს, რომლისთვისაც მზათ არის მისი ნივთიერი და ზნეობრივი ძალები, და არ უნდა აკისრებინოს ისეთი საქმე, რაც ამ ერს წელში გასტეხს. ბალშევიკებმა სრულიად მოუმზადებელი რუსეთი დაუყონებლივი სოციალიზმის გზაზე დააყენეს („ათელ წლებს“ ანგარიში არ გაუწიეს) და ამით ხელი შეუწყვეს მის ისეთს დასუსტებას, რომ რუსეთის დემოკრატია, მეტადრე მისი მუშათა კლასი „ათეული წლების“ განმავლობაშიც ვეღარ გასწორდება წელში და ვეღარ ივარგებს მსოფლიო სოციალისტური არმიის რიგებში ჩადგომას, როდესაც სოციალიზმის შემოღების საათი დაჰკრავს.

## დამფუძნებელი კრება

23 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**ქრ. შარაშიძის ასულის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები: კანონისა ახალციხის მაზრის ს. აწყურის ბ ადიგენის ამბულატორიის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ: საკლავ საქონელზე გადასახადის გადიდების შესახებ და დეკრეტი ტელეგრაფ ტელეფონის ქსელის გასავრცელებლად 85,600,000 მ. გადადებისა და ამავე საჭიროებისათვის 44,550 მან. ღირებული მასალის მიცემის შესახებ.

**დ. ონიაშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა უკამათოდ დეკრეტი სახელმწიფო ქაღალდების დამზადებულ ესპედიციის ძირითადა შტატის დამატებისა დროებითი შტატის შემოღებისა და მუშა მოსამსახურეთათვის ზედმეტი გასამრჯელოს მისაცემად სათანადო თანხის გადადებისა.

**ბ. თევზაიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად დეკრეტში აღნიშნულ პირთ მიეცემათ ერთდროულათ დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირი, მხოლოდ არა უმეტეს სამი ათასი მანეთისა.

**განგრძობა მსჯელობის შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტის შესახებ.**

ბ. თევზაია. შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტის განხილვამ, როგორც მოსალოდნელი იყო დიდი კამათი გამოიწვია. ილაპარაკეს ლ. შენგელაიამ და თედო ღლონტმა. ჩვენ გვგონია, რომ როდესაც საზოგადო მსჯელობაა კანონ-პროექტის შესახებ, ორატორი უნდა ეხებოდეს მის დედა აზრს. ბ-ნი შენგელაია საერთოდ დარჩა ამ ფარგლებში, სამაგიეროთ თედო ღლონტმა ასეთ წესს მსჯელობისას სრულებით გვერდი აუხვია და შეეხო ჩვენი ქვეყნის საერთო სოციალურ ვითარებას და რამდენიმე დებულება წამოაყენა, მან განაცხადა რომ ეს კანონ-პროექტი საერთოდ იმდენად უვარგისია, რომ ამ მხრივ ჩვენი კომისია ყველა ქვეყნების მაგალითს ჩამორჩაო. ჩვენ კი ვიტყვით, რომ საუკეთესო კანონი შრომის ხელშეკრულების არსებობს ახალ ზელანდიაში და ეს კანონ-პროექტი მასაც არ ჩამორჩება. თედო ღლონტმა განაცხადა, რომ საფრანგეთში 15 წელიწადზე მეტია რაც განხორციელებულ არის უკეთესი კანონი შრომისა. უნდა განვაცხადო, რომ იქ ერთი მეათედიც არ არსებობს იმისა, რაც აქ ღლონტმა სთქვა. იქ კავშირებს დღესაც ბრძოლა აქვთ ლეგალურ არსებობის მოპოვებისათვის. აქ თედო ღლონტმა მასწავლებელთა კავშირი და მეზღვაურები დაასახელა. სწორეთ ეს მასწავლებლები იბრძვიან იმისთვის, რომ მათ კავშირს არსებობის უფლება მიეცეს. იქ მასწავლებელთა ორგანიზაციაში საკითხი ასე კი არ სდგას, რომ მათ ჰქონდეთ უფლება მასწავლებელთა მიღება-დათხოვნისა, არამედ საკითხი სდგას მის შესახებ, რომ მათი ორგანიზაცია იყოს ლეგალური ორგანიზაცია. და თქმა იმისა, რომ ეს უფლება უკვე მოპოვებული აქვთ, ეს არ ის ცდა შეცდომაში შეიყვანონ დამფუძნებელ კრების წევრები, რაც მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც დამფუძნებელ კრების წევრებმა იციან ეს. მაგრამ შეიძლება შეცდომაში შეყვანილ იქნენ ის მკითხველები, რომლებიც თქვენ სიტყვას წაიკითხავენ დამფუძნებელ კრების გარეშე. არც ის არის მართალი, თითქოს მეზღვაურები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. საფრანგეთში მთავრობის აზრით ის მეზღვაურებიც კი, რომლებიც კერძო გემებზე მსახურობენ ემსახურებიან საზოგადოებრივ - სახელმწიფოებრივ საქმეს და არ აქვთ ამიტომ უფლება გაფიცვისა და ყველაზე დიდი გაფიცვები ამ უფლებების მოსაპოვებლათ ხდება სწორედ საფრანგეთში ამ ხალხის მიერ. (თედო ღლონტი. ლიონში) თედო ღლონტმა აქ ლიონის მეზღვაურები ახსენა. ლიონში არამც თუ ზღვა, დიდი ტბაც კი არ არის და არც მომხდარა მეზღვაურების რამე სერიოზული მოძრაობა, ეს ფაქტიურად ვერ მოხდებოდა, მეზღვაურები იფიცებიან იმისთვის, რომ მოიპოვონ უფლება თავიანთ წევრების მიღება-დათხოვნისა, უფრო კი მისთვის, რომ ჰქონდეთ უფლება ლეგალური კავშირების დაარსებისა, რომელიც შეაერთებს ამ მეზღვაურებს, რასაც ყოველთვის ხელს უშლიდა ბ დღესაც უშლის საფრანგეთის მთავრობა, რომელიც ასე სვამს კითხვას: არის წარმოება და მას აქვს სახელმწიფოებრივი ხასიათი და სადაც ეს არის, იქ სრული თავისუფლება კავშირებისა არ უნდა იყოსო.

ამ ნაირად, ბ. ღლონტო, ამ კანონ-პროექტის შედარება საფრანგეთში არსებულ კანონებთან სრულებით შეუძლებელია. მეორე დებულება რომელიც წამოაყენა ღლონტმა ეს არის შემდეგი. ის კითხულობს: ვისია ეს კანონი, ვისია კონსტიტუციაო, მუშის თუ ბურჟუაზიისო? ასე დასვა მან საკითხი, როგორც იცით ოფიციალური ორატორი სოციალ-ფედერალისტების ფრაქციისა, თედო ღლონტი ვითომც უნდა იცავდეს დღევანდელ არსებულ ჩვენს პოლიტიკურ წყობილებას. თუ ეს ასეა მე თქვენ გეკითხებით: ვისია ეს კონსტიტუცია? ვისგან შესდგება დამფუძნებელი კრება? აქ არის ჩვენი ფრაქცია, თქვენი (სოციალისტ-ფედერალისტების) ფრაქციის და ამათი (უჩვენებს ნაც.-დემოკრატებს) ფრაქციაც.—მემარჯვენე ფრაქცია. ეს არის დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც შეძლებას აძლევს ყველას თავისი აზრი გამოსთქვან აქ და მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს აშენებაში თავისი კლასის ინტერესების, ანდა თავის პირად მსოფლმხედველობის მიხედვით. თუ ასეთი პოლიტიკურ წყობილებას თქვენ ლებულობთ, რა უფლება გაქვთ იკითხოთ ამ პროექტის შესახებ ვისია ეს კონსტიტუციაო?

დასასრულ ბ. ღლონტმა მოიყვანა ევროპის მოღვაწეების აზრი. მას ალბათ ეცოდინება, რომ არის ორი სერიოზული პროექტი სოციალური გარდაქმნის. ერთი ეკუთვნის სინდიკალისტ ჟუოს, მეორე ოტო ბაუერს. უკანასკნელის პროექტი, რომელიც შეეხება არა მარტო გარდამავალ ხანას, არამედ სახეში აქვს სოციალისტური საზოგადოება, ეკონომიურ სფეროს კონსტიტუცია შესდგება სამი ელემენტისაგან და ეს ელემენტები აწესრიგებენ სოციალურ ურთიერთობას.

სახელმწიფოს, როგორც ერთეულს— ყავს თავისი წარმომადგენელი, იქვე შედის მუშების ორგანიზაცია და მესამე ტეხნიკური ძალა სპეციალისტების წარმომადგენლები, როგორც ერთეული. ეს ის სამი ძალა არის, რომელიც ქმნის ამ ეკონომიურ მუშაობას და უდგას მას სათავეში. და ეს უნდა იყოს მაშინ, როდესაც სოციალისტური სახელმწიფო იქნება და განა ამის შემდეგ შეიძლება სთქვათ, რომ მთელი ეს საქმე უნდა მიენდოს ერთ წრესო? ეს არ შეეფერება ევროპის პრაქტიკას და იმავე დროს უარყოფა იქნებოდა პოლიტიკურ კონსტიტუციის.

შეუძლებელია ისეთ რთულ საკითხში, როგორიც არის ეკონომიკა, ადამიანმა ჟურა პოლიტიკით იხელმძღვანელოს. ალბათ ღლონტმა იცის რომ 1916 წელს ჟუოს მიერ შემუშავებული პროექტი ალბერტ ტომას მიერ იყო წარმოდგენილი საფრანგეთის პარლამენტში. ეს პროექტი ეხებოდა რკინის გზებს. რა იყო იქ? ვის ხელში იყო მაშინ მუშების მიღება და დათხოვნა.

ალბერტ ტომას არ უთქვამს მაშინ, რომ მთელი პოლიტიკა მუშების ხელში უნდა იყოს. მაგრამ მან სთქვა, რომ მთელი ორგანიზაცია და ჯამაგირის დანიშვნა უნდა იყოს სამი დაწესებულებისაგან შემდგარ კავშირის ცენტრის ხელში. ამ კავშირში შევიდოდა ერთი ნაწილი მთავრობის წარმომადგენლებისა, მეორე ნაწილი იქნებოდა ტეხნიკოსებისა და მესამე მუშების წარმომადგენლებისა. აი ეს სამი ძალა, ეს ხალხი დაიცავდა წარმოების წესრიგს და განაწილებდა მუშების ხელფასს. ასე იყო 1916 წელს, ასეთი პროექტი იყო შეტანილი პარლამენტში. ამას შევეხეთ არა იმიტომ, რომ თვით ეს შეხედულება შემცდარათ მიგვაჩნია, არამედ იმიტომ, რომ ღლონტმა დასვა კითხვა ბურჟუაზია და მუშა. შემდეგ ამისა ორატორი აღნიშნავს, რომ შემცდარია ღლონტის აზრი თითქოს ჩვენი წარმოება ვერ აიტანს 8 საათის სამუშაო დღეს და ეს სამოქალაქო ომს გამოიწვევსო. თვით წარმოების ინტერესები მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას და ეს არც გამოიწვევს სამოქალაქო ომს. შემდეგ ამისა ორატორი უპასუხებს რა შენგელაიას, აღნიშნავს, რომ შენგელაიამ ალბად არ იცის, რომ ძალა უფლების ხელში აღება ეს ერთი დღის—შეიძლება ერთი საათის საქმეც იყოს, თუ პირობები სათანადოდ მომზადებულია, მაგრამ ეკონომიურ სოციალური გარდაქმნა ეს ერთი დღის საქმე არ არის.

დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ ვერც ერთი მუხლი ვერ მოიყვანეს ისეთი, რომელიც არ იცავდეს საწარმოვო ძალთა განვითარების და იმავე დროს დღევანდელ პირობებში შესაფერად არ იცავდეს მუშა-მოსამსახურეების ინტერესებს.

ალ. ასათიანი (ნ. დ.) საქართველოს ბურჟუაზია ჯერ კიდევ ნორჩია და საჭიროა მისი გამაგრება, წარმოდგენილი შრომის ხელშეკრულება არ არის მისაღები სავსებით. მაგალითად მუშების მიღების საკითხი არ უნდა ჰქონდეთ დაკისრებული შრომის ბირჟებს, ეს ვერ უზრუნველყოფს წარმოების ინტერესებს, ნარდათ მუშაობის მოსპობა თვით მუშათა კლასისთვის არის საზარალო. მართალია ჩვენ პრინციპიალურად მომხრე ვართ 8 საათის სამუშაო დღის, მაგრამ იგი არ უნდა იყოს მიღებული, როგორც აბსოლიუტური მცნება ბ ზოგიერთ შემთხვევაში უარი უნდა ვსთქვათ 8 საათის შემოღების შესახებ. საზიანოა აგრეთვე მუხლი, სადაც ლაპარაკი არის სალიკვიდაციო თანხებზე სალიკვიდაციოს ამ სახით მიცემა ხელს შეუშლის წარმოების განვითარებას და ისედაც გაძვირებულ ცხოვრებას უფრო გააძვირებს. შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ კანონ პროექტის ძალით ბევრი უფლებები ენიჭებათ პროფ. კავშირებს, რაც ყოვლად მიუღებელიაო.

სიგვიანის გამო კამათი შესწყდა.

ბიუჯეტის განხილვისათვის კრება ნიშნავს ზედმეტ სხდომას. ოთხშაბათს, საღამოს 7 ს. ხუთშაბათს და პარასკევს ჩვეულებრივ დროს. სამშაბათს შესდგება ჩვეულებრივი სხდომა მორიგ საკითხების განსახილველად.

სხდომის დასასრულს მიღებულ იქნა საბოლოვო ტექსტები ამავე სხდომაზე მიღებულ დეკრეტებისა.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**სოციალური რევოლიუციის წინა დღით.** ღამით 5—6 ივნისს ხარკოვში მოხდა მასსიური ჩხრეკა. ხარკოვის „კომუნისტში“ ამის გამო დიდრონი შავი ასოებით სწერია: „ხარკოველ მუშამ 6 ივნისს ღამით შეკავშირებული გამოსვლით ლახვარი ჩასცა გამხეცებულ სპეკულიანტებს. დეე, ფრთხილით იყონ პოლონელი პანების მეგობრები! ხარკოვის მუშა არ მოისვენებს, სანამ ქალაქში მუშური მთავრობა არ იქნება“.

იმავე ნომერში დასახელებულ მოვლენას აფასებს ბორის ვოლინი და შემდეგნაირათ მსჯელობს: „თვითოეულ მუშამ იცის, რომ საბჭოთა მთავრობა მარტო პოლიტიკურ გადატრიალებას არ ნიშნავს: იგი ნიშნავს აგრეთვე ეკონომიურ-სოციალურ რევოლიუციას. პროლეტარიატის დიქტატურა ადამიანებზე ბატონობას კი არ ნიშნავს, არამედ ბატონობას საგნებზე. არაფერს ნიშნავს კარგი კონსტიტუციის გამომუშავება, კარგი დეკრეტების გამოცემა, საყვარელ ადამიანების სათავეში ჩაყენება. საჭიროა კონსტიტუცია გატარებული იყოს ცხოვრებაში, საჭიროა დეკრეტები განხორციელდეს. იმაზე უარესი არაფერი იქნება, თუ ბურჟუაზიას იმავე მდგომარეობაში დავტოვებთ, როგორშიაც მას ოქტომბრის რევოლიუციამ მოუსწრო. ბურჟუაზიის მოსასპობათ არაა საკმაო მხოლოდ პოლიტიკური გადატრიალება, ამისთვის საჭიროა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი. ეს არ იყო დღემდე. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. და უკრაინის ბურჟუაზიის ალსასრულის დღეც დადგა. ამას მოწმობს უკანასკნელ დღეების ამბები. უპარტიოთა კონფერენციამ, რომელსაც მუშები-ქალები და კაცები დაესწრნენ,—პირველ დღესვე—პარასკევს გადასწყვიტა ერთხმათ ეკონომიურ რევოლიუციის მოხდენა სოფელში. მეორე დღეს—შაბათს მან მოიწონა საბჭოთა მთავრობის დეკრეტი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიების შესახებ. ვინც კონფერენციაზე იყო შაბათს,—ის წარმოიდგენს, თუ როგორი განწყობილება იყო იქ: შემჩნევდით, რომ მზადდებოდა „ოქტომბრის დღეები“ ხარკოვისათვის; შეამ-

# დღეს

**ფრანგული ცნობით საბჭოთა მთავრობამ ბრძანება გასცა ჯარებისადმი პოლონეთის ფრონტზე დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ.**

**ოსმალეთის სამეფო საბჭომ გადასწყვიტა ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას.**

**ფრანგული ცნობით ბალშევიკები დამხმარე ძალებს უგზავნიან ოსმალეთის ნაციონალისტებს.**

**საფრანგეთის ოპერაციები სირიაში სასურველად ვითარდება.**

**საბერძნეთის ჯარმა ადრიანოპოლი დაიკავა.**

**ირლანდიაში არეულობაა.**

**იტალია-ალბანეთს შორის მოლაპარაკება განახლდა.**

**და,ყებულ მღელვარების გამო აქსტაფის და ყაზახის რაიონებიდან ბალშევიკური ჯარის ნაწილები განჯისა და ბაქოს რაიონებში გადაიყვანეს.**

ჩნევდით, რომ საქმე თვით ჩხრეკაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ მოისპობა წინააღმდეგობა,—წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა პოლიტიკურ ფორმასა და შინაარს შორის. ერთ-ერთი უპარტიო მუშა ლაპარაკობდა: „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ამხანაგებო, რომ ჩვენ პირის პირ შევხვდებით ჩვენს მტრებს, ჩვენ დავინახავთ ცრემლებს მათ თვალებზე, ვის ქონების ექსპროპრიაციასაც ჩვენ მოვახდენთ... მაგრამ მათ უნდა იცოდენ, რომ არც ისინი აქცევდენ ყურადღებას მუშების თვალებზე მოდინებულ ცრემლებს“.

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიყო მუშები ჯგუფ-ჯგუფათ და შეცვივდენ წითელ არმიელებთან ერთად „ბურჟუებისა“ და „სპეკულიანტების“ სახლებში... და განაგრძობს: მასსიური ჩხრეკა მიზნათ ისახავდა, რათა გამოეყვანათ უსაქმო ელემენტები, აღმოეჩინათ დეზერტირები, დაეჭირათ ბანდიტები, გამოეთრიათ სპეკულიანტები, გამოერკვიათ ოთახებში მოთავსებული ნივთები და „ექსპროპრიაცია“ მოეხდინათ იმისა, რაც პროლეტარიატისათვის საჭიროა... ამ ღამეს ბურჟუაზიას ჩამოართვეს ის, რაც მას მუშათა ოფლით შეუძენია. უწესობას ალაგი არ ჰქონებია; ბევრი ოთახები გაჩხრიკეს, ამიტომ ცხადი იქნებოდა ზოგიერთი გაუგებრობა. მაგრამ მზეზეც კი ლაქა არის... დაუღალავათ აკეთებდენ მუშები თავიანთ საქმეს... ბევრი გაეპარა პროლეტარიატის თვალს, მაგრამ შედეგები ჩხრეკისა მაინც დამაკმაყოფილებელი იყო. დასასრულ ავტორი ჩამოთვლის მუშების საჭიროებებს და ათავებს: „პირისპირ შეხვდნენ მუშა და ბურჟუა, და ეს შეხვედრა—საფლავია მუშათა კლასის შეურიგებელ მტრებისათვის“. იმავე ჩხრეკის შესახებ ვილაც „რიადოვოი“ შემდეგს წერს:

„... 5—6 ივნისის ღამით შეხვედრა დიდათ განსხვავდება ყველა შეხვედრებისაგან, რასაც საბჭოთა დაწესებულებებში აქვს ალაგი. დაწესებულებებში ჩვენ მხოლოდ ნიღაბსა ვხედავთ, ოთახში კი ნამდვილ პირის სახეს შევხედეთ. აი, სხვათა შორის, რატომ არ ხერხდება დაწესებულებათა ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან გაწმენდა მხოლოდ საანკეტო ფურცლების საშუალებით. საანკეტო ფურცელი, სწორეთ იმ შემთხვევაში, როდესაც სიმართლეა გამოსარკვევი, იწერება სწორეთ სიმართლის დასამალავათ. სხვა საქმეა, როდესაც კაცს „სახლში“ ხედავ. აქ უკვე „შუბს ხალათში ველარ დამალავ“.

ვინმე ვ. დემიდოვი, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: ღამით 5—6 ივნისს მუშებმა სერიოზული ლახვარი ჩასცეს ქალაქის ბურჟუებსა და სპეკულიანტებს. ორი ათასზე მეტი მუშა უპარტიოთა კონფერენციის ინიციატორობით შეჰრა ხარკოვის ბურჟუების ოთახებში და გამორეკეს უსაქმო ხალხი სამუშაოზე, ამ მოვლენას დიდი მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის. მაშინ, როდესაც წითელ არმიელები ლაზარეთებში უსაცვლოთ არიან,—ბურჟუაზიული ქალები ქვეყნის გაკვირვებას აპირებენ თავიანთ მდიდრულ ტანისამოსით.. და აი „ბევრი ტანისამოსი, საცვლები და ფეხსაცმელები ჩამოერთვა ამ ღამით ბურჟუაზიას“. ბევრი ოთახები დაიცალა, სადაც შესაძლებელია მუშები მოვათავსოთ... პირველი პარტია ჩასუქებულ ბურჟუებისა და მტაცებელ სპეკულიანტების გაიგზავნა ხარკოვის პროლეტარიატის მიერ შრომის სკოლაში—მუშათა ბათალიონში. წერილის ავტორი ათავებს: „გადამჭრელ და ჭეშმარიტ ბრძოლის გზაზე შედგა წითელი მუშა. გზა მშვიდობისა!“ („ხარკოვსკ. კომ.“, № 126).

საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში აღსანიშნავია ერთი გარემოება: როგორც ვიცით იქ მრავლად მოიპოვებიან შრომის და ბრძოლის დეზერტირები, სხვადასხვა ჯურის საბოტაჟნიკები საბჭოთა დაწესებულებებში თუ ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ ასეთებს ვერ ვხედავთ მხოლოდ **დარბევის ფრონტზე**. არავინ უკან არ იხევს ამ „ფრონტზე“. მოიპოვებიან მცირე რიცხვი მენშევიკებისა, რომლებიც არ მიდიან ამ ფრონტზე „საბრძოლველად“, მაგრამ მათ საბჭოთა მთავრობა, საბედნიეროთ, ამისთვის არ სჯის...

## სომხეთი და საბჭოთა რუსეთი

**ჩიჩერინის ნოტა.**

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა სომხეთის მთავრობას:

„ერევანი, საგარეო საქმეთა მინისტრს ოგანჯანიანს; ასლი თფილისში კიროვს. საბჭოთა მთავრობის მოქმედება კავკასიაში მიზნათ ისახავს ხელი შეუწყოს სომხეთის ხალხის წყნარ და მშვიდობიან განვითარებას ისევე, როგორც სხვა მის მეზობელ ხალხების განვითარებასაც ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად. საბჭოთა რუსეთი გამოდის როგორც უანგარო მეგობარი თვითეულ ერის მშრომელებისა. რუსეთის ჯარების ნაწილების მიერ იმ ადგილების დაკავება, რომლებმაც მეზობელ ხალხთა შორის ბრძოლის პროცესში სადავო ადგილების ხასიათი მიიღო სომხეთ-ადერბეიჯანისათვის, მიზნათ ისახავს სისხლიან შეტაკების თავიდან აცილებას, რასაც შესაძლებელია მეტათ ცუდი შედეგები მოჰყვეს მონაწილე მხარეებისათვის; აღნიშნულ ადგილების დაკავება მიზნათ ისახავს აგრეთვე ისეთ პირობების შექმნას, როდესაც შესაძლებელი იქნება სადაო ტერიტორიალურ საკითხების მშვიდობიანი და მიუდგომელი გადაწყვეტა.

მეგობრული დამოკიდებულება რომელსაც საბჭოთა მთავრობა ცდილობს დაამყაროს ოსმალეთის მცირე აზიის ნაციონალურ მთავრობასთან, სხვათა შორის, იმ მიზნითაც უნდა მას გამოიყენოს, რომ სომხეთს მოუპოვოს საჭირო ტერიტორია, მცირე აზიაში, და რომ ბოლო მოუღოს გაუთავებელ საბედისწერო შუღლს მუსულმან მცხოვრებლებთა და სომხებს შორის.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებებით აიხსნება ის გარემოება, რომ ოსმალეთის ნაციონალისტებმა შეაჩერეს უკვე დაწყებული მობილიზაცია, რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული სომხეთის ხალხზე ახალი თავდასხმა; ნაციონალისტებმა სურვილი გამოსთქვეს საქმე მშვიდობიანათ მოაგვარონ და დაამყარონ მუსულმანებსა და სომხებს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

საბჭოთა რუსეთი განაგრძობს მიუდგომელათ მეგობრულ დამოკიდებულებას თვითეულ ერის მშრომელებისადმი; და სომხეთის ხალხს შეუძლია დაიმედებული იყოს, რომ საბჭოთა მთავრობა ასევე მეგობრულათ უყურებს მას და დაიცავს სომხეთის ხალხს ყოველგვარ საფრთხისაგან.

საბჭოთა რუსეთის რწმუნებულის—ლეგრანის ჩამოსვლა ერევანში ხელს შეუწყობს ყოველგვარ დაგროვილ გაუგებრობათა გამორკვევას. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ ლეგრანთან მოლაპარაკების საშუალებით სომხეთის მთავრობა დარწმუნდება საბჭოთა მთავრობის კეთილ განზრახვებში და შესაძლებელათ სცნობს ხანგრძლივათ და საბოლოოთ შეუთანხმდეს მას და მასთან ერთად ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას კეთილმეზობლურ დამოკიდებულებათა შესახებ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი
**ჩიჩერინი.**

20 ივლისი, 1920 წ.

## საქართველოს სახელმწიფო ბანკის გახსნა

ივლისის 24 სახელმწიფო ბანკის გახსნას დაესწრო მთავრობის წევრები: შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი, იუსტიციის მინისტრი მ. არსენიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ა. ლომთათიძე, სენატის ბრალმდებელი გელაზაროვი, ა. ჩხენკელი და დამფ. კრების სხვა წევრები. როდესაც მოწვეულნი შეიკრიბენ, სახელმწიფო ბანკის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ელიავამ ბანკის საბჭოს და გამგეობის შეერთებული სხდომა გახსნილად გამოაცხადა, რის შემდეგაც მან მოკლედ გააცნო დამსწრეთ სახელმწიფო ბანკის წარმოშობის ისტორია. დასასრულ წაიკითხეს დამფ. კრების მიერ არჩეული სახელმწიფო ბანკის საბჭოს და გამგეობის წევრები. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულია ს. მდივანი; წევრებად: გ. ჟურული, ბერელაშვილი, ბარათაშვილი, ჭიჭინაძე, მესხი, ცაგარელი თოფურიძე და მათ გარდა ფინანსთა სამინისტროს ორი წარმომადგენელი ჟორჟოლაძე და ჩხეიძე; ბანკის გამგედ არჩეულია ი. ლორთქიფანიძე, გამგის ამხანაგად რ. დუმბაძე და გამგეობის წევრებად მენაბდე და კილაძე. შემდეგ ბანკის ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. ლორთქიფანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ბანკის გასახსნელად საჭირო ორგანიზაციული მუშაობა დასრულებულია და ამიტომ იგი თხოულობს ოპერაციების დაწყების უფლებას. ამ განცხადების შემდეგ საბჭო ერთხმადადგენს ბანკის მოქმედების დაწყებას. საბჭოს ამ დადგენილებას აცხადებს ნ. ელიავა. შემდეგ მოკლე სიტყვით გამოდის კვლავ ი. ლორთქიფანიძე, რომელმაც საერთოდ დაახასიათა ის მძიმე პირობები, რომლებშიაც უხდება ბანკს პასუხსაგებ მუშაობის დაწყება და აღნიშნა ბანკის მოქმედების პროგრამა, რომლის მიზანს შეადგენს რესპუბლიკის ვაჭრობის და მრეწველობის განვითარება. მოკლე მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს დამფ. კრების პრეზიდიუმის სახელით ა. ლომთათიძემ, რომელმაც რწმენა გამოსთქვა, რომ ბანკი გაამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც მასზე ამყარებს რესპუბლიკა. მთავრობის სახელით ბანკის საბჭოს და გამგეობას მიესალმა ნ. რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ისე, როგორც რესპუბლიკის ძლევა-მოსილმა გვარდიამ და ჯარმა უზრუნველყო ერის ფიზიკური არსებობა, ისე ბანკმა [illegible]

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

26 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**პოლონეთი.**

[illegible]

**ფრანგული ცნობები.**

**სირიაში.**

გაზეთ „ტანს“-ს და „დებას“ ატყობინებენ, რომ რკინის გზის ოკუპაცია სირიაში ნორმალურად მიმდინარეობს. შერიფის ჯარებს ამდენხანს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ისინი უბრძოლველათ უკან იხევენ. საფრანგეთის ჯარები ანტილივანს მიუახლოვდნენ და ქალაქზე გაბატონებული მთები დაიჭირეს. ქალაქში მხოლოდ იმ შემთხვევაში შევლენ, თუ ამას სამხედრო საჭიროება მოითხოვს: საფრანგეთის ჯარები გაემართენ ალეპასაკენაც, აქ მათ პარასკევს მოელიან.

**ბალშევიზმის საფრთხე.**

გაზეთ „მატენი“ იუწყება: გერმანიის რწმუნებულმა მილერანის ყურადღება ბალშევიკების საფრთხისაკენ მიაქციაო.

**მუსტაფა ქემალი და ბალშევიკები.**

თანახმად კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობებისა ბალშევიკებს განზრახვა აქვთ, რაც შეიძლება მოკლე დროში, ოსმალეთის ნაციონალისტებს დამხმარე ძალები გაუგზავნონ.

**დახმარება პოლონეთს.**

როდესაც პარასკევს მილიერანმა გააკეთა სენატში მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მიზნით იგზავნება პოლონეთში ინგლისისა და საფრანგეთის მისიები, მან განაცხადა, საფრანგეთის მთავრობას უნდა თავის მეგობარს პოლონეთს სასარგებლო გაფრთხილება და დარიგება მისცეს, თუ რა დარიგებაა ეს, ამის შესახებ ნათქვამია ერთ წერილში, რომელიც ჩვენ წინ დევს, მაგრამ რომლის წაკითხვა ახლა, ასეთ მომენტში მე არ მიმაჩნია საჭიროდ. ჩვენი მოკავშირეები ჩვენგან სხვა რამეს მოელიან, და მოელიან სრულიად საფუძვლიანად.

**საზავო ხელშეკრულება.**

კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, სამეფო საბჭომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა გადასწყვიტა.

**დროებითი ზავი პოლონეთის ფრონტზე.**

საბჭოთა მთავრობამ ბალშევიკების ჯარისადმი ბრძანება გასცა შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება პოლონეთის ფრონტზე და პოლონეთის სარდლობასთან დროებითი ზავის პირობები გამოიმუშავონ.

**ადრიანოპოლის ოკუპაცია.**

„დეილი ექსპრესი“ საბერძნეთის ჯარების მიერ ადრიანოპოლის ოკუპაციის შესახებ იუწყება.

**საბერძნეთის ოპერაციები სირიაში.**

გაზეთ „მატენი“-ს გადმოცემით საფრანგეთის ოპერაციები სირიაში სასურველად ვითარდება. ცალედან და ალექსანდრეტიდან ჯარის ძლიერი ნაწილები ალეპოსაკენ გაემართენ.

**ალბანეთი და იტალია.**

„როგორც გაზეთი „ეკლიერი“ იუწყება დურაცოში იტალიისა და ალბანეთის შორის მოლაპარაკება განახლებულა. ფიქრობენ, რომ ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ. ფაქტია, რომ ალბანეთის მთავრობამ 10 წლის სათადარიგონი გაიწვია.

**ჩიჩერინის რადიო.**

მოსკოვიდან ჩიჩერინის მიერ ხელმოწერილი რადიო იუწყება, რომ რუსეთის [illegible]

## საქ. დემ. რესპუბლიკის საინფორმაციო განყოფილება

[illegible] რულობა არ დაუდევს და რომ მისთვის მას არავითარი ტერიტორია არ დაუთმია. პოლონეთის სარდლობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდენ შეთანხმებულ სამხედრო მოქმედების შესახებ. ვრანგელის მთავრობა ყოველგვარ ზომას ღებულობს, რომ გლეხობის თანაგრძნობა დაიმსახუროს. ამ მიზნით ხორციელდება აგრარული რეფორმა, რომელმაც სრულიად ჩამოაშორა ვრანგელს მემარჯვენე ელემენტები, აგრარიები და მსხვილი ბურჟუაზია.

**სან-ფრანცისკო.** შეერთებულ შტატების პრეზიდენტის კანდიდატის გამო დემოკრატიულ პარტიაში უთანხმოებაა. სან - ფრანცისკოში 14-ჯერ მოხდა კენჭის ყრა, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ახალ თათბირზე კვლავ მოხდა კენჭის ყრა 22-ჯერ, და მხოლოდ მე-23 კენჭის ყრამ მისცა დემოკრ. პარტიას შემდეგი შედეგები: გაკ. ადდუმ მიიღომ 399 ხმა, გუბერნატორმა კოვიე კოკმა—377, ლონდონში მყოფმა ამერიკის ელჩმა დეფისმა—2862.

**სკერბორო.** სკერბოროში მომხდარმა მუშათა კონფერენციამ დიდი უმრავლესობით უარყო მესამე ინტერნაციონალში შესვლა. შესვლის წინააღმდეგი იყვნენ დელეგატები, რომლებიც 2,440,000 მუშას წარმოადგენენ, მომხრე დელეგატები კი, რომლებიც 225,000 მუშას წარმოადგენდენ. დიდი ხმის უმეტესობით უარყოფილ იქნა წინადადება მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლის შესახებ.

**ლონდონი.** 7 ივლ. „დეილი ექსპერსი“ იუწყება: ინგლისსა და იაპონიას შორის მოხდა შეთანხმება ინდოეთსა და ტიბეტში ბალშევიკების წინააღმდეგ შეერთებულ მოქმედების შესახებო. იმავე გაზეთმა გადმობეჭდა პოლონურ გაზეთ „კურიერ პოდზენიის“ ცნობა იმის შესახებ, რომ ლიტვის მთავრობა პოლონეთის წინააღმდეგ საბრძოლველათ ბალშევიკებთან შეთანხმებულა.

**ბერლინი.** 6 ივლ. მთავრობამ შეიმუშავა ახალი სახლების აშენების გეგმა. ამ მიზნისათვის გადადებულია 635 მილ. მარკა.

**პარიზი.** საზოგადოებრივ მუშაობის სამინისტროში საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის კონფერენციის პირველი სხდომა შესდგა. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილია ევროპის ყველა ქვეყანა გარდა რუსეთისა. კონფერენციის მიზანია ევროპის ყველა ქვეყნის შორის საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო დამოკიდებულების აღდგენა.

**პარიზი.** „პტი ჟურნალი“ იუწყება: მოსკოვის მთავრობის თავმჯდომარემ ლენინმა, რომის პაპს თხოვნით მიმართა, რომ მან გამოგზავნოს რუსეთში საგანგებო კომისია რუსეთის ცხოვრების ახალ სარწმუნოებრივ და სოციალურ ფორმების შესასწავლად.

**სპა.** მარშალ ფოშსა და პოლონეთის საბჭოს პრეზიდენტ გრაბსკის თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში შეუძლიან მოკავშირეებს აღმოუჩინონ დახმარება ბალშევიკებთან ბრძოლაში პოლონეთს. მარშალმა ფოშმა გრაბსკი დააიმედა: მოკავშირენი ყოველგვარ ზომებს მიიღებენ პოლონეთის მდგომარეობის განსამტკიცებლადო. იმავე დღეს მარშალი ფოში პარიზში დაბრუნდა.

**პარიზი.** საფრანგეთის ხელმძღვანელ წრეებში საკითხი აღიძრა, რომ ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის საკითხის განხილვასთან განხილულ იქნეს საკითხი დიდ საერთაშორისო რკინის გზის გაყვანის შესახებ, რომელიც ფრანგების წინადადებით ბორდოს ბუქარესტთან უნდა აერთებდეს. ეს გზა და მილანსა და ტურინზე გაივლის. იგი ძველ გზას 400 კილომეტრით შეამოკლებს.

**ბათომი.** (საკ. კორ.) ბათომის ოლქის ჯარების მთავარსარდალ გენ. მდივანის ბრძანებით ბათომის კომენდანტათ დაინიშნა პირველ ქვეითა პოლკის კომანდირი პოლკ გეგელაშვილი.

ბათომის ოლქის შრომის კომისარმა ყველა დაწესებულებას და პირებს, რომლებიც დაქირავებულ შრომით სარგებლობენ აცნობა, რომ ოლქის ფარგლებში ძალაში შედის რესპუბლიკის კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. ვინც ამ კანონს დაარღვევს, იგი პასუხისგებაში იქნება მიცემულიო.

**ბათომი.** (საკ. კორ.) ოლქის განსაკუთრებულ კომისარის ჩხიკვიშვილის და მის თანაშემწის გენ. მდივანის სახელზე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან აუარებელი თხოვნები მოდის მათი საქართველოს ქვეშევრდომებათ ჩარიცხვის შესახებ.

**ერევანი.** ივლ. 26. აქსტაფასა და ყაზახში მყოფი ბალშევიკური ჯარის ნაწილები გადაიყვანეს განჯისა და ბაქოს რაიონებში. ამის მიზეზია ჯარის ნაწილებში დაწყებული მღელვარება.

**ბაქო.** ივლ. 25. ამ უკანასკნელ ხანაში გირვანქა პურის ფასი 250 მან. ავიდა.

## საქართველო და საბჭოთა რუსეთი

**ბათომი** (საკუთ. კორესპ.). სამხედრო გარანტიების შესახებ ქართულ-რუსულ შეერთებულ კომისიის საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ ბათომისა და მისი ოლქის განსაკუთრებულ კომისარ ჩხიკვიშვილისაგან შემდეგი წერილი მიიღო: „დღეს, 17 საათსა და 20 წუთ: საქართველოს რესპუბლიკის საგარეო მინისტრ საბახტარიშვილისაგან შემდეგი დეპეშა მივიღე: „ვინაიდან საბჭოთა რუსეთმა თავის წარმომადგენელ კიროვის სახით ნოტა წარმოადგინა, მე მინდა თქვენგან მივიღო განმარტება შემდეგ საკითხებზე: 1) ივლისის 13 ბათომის ნავთსადგურიდან გავიდა გემი ყიზილარკატი, რომელმაც ვრანგელთან მიმავალი 800 მოხალისე წაიყვანა, 2) ამ ჟამად ბათომის ნავთსადგურში იტვირთება გემი „პეტრე დიდი“, რომლითაც განზრახული აქვთ დენიკინის ყოფილ მოხალისეებს ყირიმში გამგზავრება. ამის გამო საბჭოთა მთავრობა აცხადებს თავის პროტესტს და სთვლის რა ამას ხელშეკრულების დარღვევათ, სასწრაფოდ პასუხს თხოულობს. გაცნობებთ თქვენ ამას (მთავრობას უკვე ვაცნობე ყველაფერი) მაგრამ ვაცხადებ, რომ ინფორმაცია, რომელზედაც საბჭოთა მთავრობის პროტესტია აგებული, სრულიად უსაფუძვლოა. იმ გემის შესახებ, რომელიც საფრანგეთის დროშით ივლისის 13-ს სევასტოპოლისაკენ გავიდა, მე შემიძლია გაცნობოთ შემდეგი: თვალყურის დევნებამ გამოარკვია, რომ ამ გემის მგზავრებს შორის არ ყოფილა არც ერთი მოხალისე, ვინაიდან იმ სარწმუნო ცნობების მიხედვით, რომელნიც მე ხელთა მაქვს, მოხალისეებს დაუტოვებიათ ბათომი ივლისის 7-მდე. ის მოხალისეები კი, რომლებიც დარჩენ და აგრეთვე ისინიც, ვის შესახებ ეჭვი არის, რომ ისინი მოხალისეთა ჯარში მსახურობდენ, ყარაულქვეშ იმყოფებიან. რაც შეეხება გემს „პეტრე დიდს“, ნავთსადგურში არ აღმოჩნდა, არის მხოლოდ პატარა მატორიანი იალქანი ამავე სახელის, რომელიც მოვიდა ნოვოროსისკიდან ივლისის 9 ნოვოროსიისკის ნავთსადგურის სამმართველოს მოწმობებით, და რომელმაც მოიტანა 420 ფუთი პური, და 1230 ფუთი ფქვილი. გემი დატვირთულია გოგირდით და შაბიამანით. გემზე არ არის არც ერთი გირვანქა კეროსინი და არც ერთი მგზავრი. საით გაემგზავრება გემი ჯერ არ არის გამოკვლეული, ვინაიდან მიმართულება ჯერ არ აუღია, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორია ღირებულება იმ ინფორმაციისა, რომელიც საბჭოთა მთავრობას ალბათ ჩვენმა მტრებმა მიაწოდეს. მიმაჩნია რა საჭიროდ ჩამოთვლილ ფაქტების დადასტურება, გთხოვთ მისცეთ წინადადება რუსეთის დელეგაციას, ან მის თავმჯდომარეს, თქვენთან ერთად მობრძანდეს გემებზე და შეამოწმოს ჩემი ცნობის სინამდვილე და ამასთანავე სათანადო ოქმიც შეადგინოთ საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ. დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. მდივანმა, ეს ქაღალდი მიღებისთანავე ასლთან ერთად რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარეს რუზერს გადაუგზავნა. ამასთანავე განსაკუთრებულმა კომისარმა სასწრაფოდ გაუგზავნა დეპეშა საგარეო საქმეთა სამინისტროს და საბახტარაშვილის კითხვებზე ვრცელი პასუხი გასცა. (სდს).

## ახალი ამბები

**დღეს საღამოს 7 საათზე დანიშნულია საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა.**

**უცხოეთის ვალიუტა.** საზოგადოება „ჩემომ“ ივლისის 1 გადსცა მთავრობას უცხო ვალიუტით მარგანეცში მიღებული ფული ქართულ ბონებზე გადასაცვლელად: 50.000 გირ სტერლინგი, 658.000 ფრანკი და 272.000 იტალიური ლირა.

**✦ ბათომის მრეწველობის გამოკვლევა.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის განსაკუთრებულმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სამინისტროს სავაჭრო-მრეწველობის განყოფილების უფროსი სამთო ინჟინერი ვ. გუნცაძე, ბათომისა და მისი ოლქის სამრეწველო დაწესებულებების გამოკვლევა მოახდინა. კომისია გაეცნო დაწესებულებების საერთო მდგომარეობას, მათ ტეხნიკურ მოწყობილობას, წარმოებას და მის ნაყოფიერებას, მუშათა საკითხს და იმ მიზეზებს, რომლებიც ნორმალურ მუშაობის წარმოებას ხელს უშლის. კომისია თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ბათომის ოლქში დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის პროდუქტებით საექსპორტო ვაჭრობას, რომლის წყალობით შეიქმნა მთელი რიგი სათანადო დაწესებულებების, ეს დაწესებულებები არის ოლქის შემოსავლიანი წყაროები. გარდა ამისა, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ძანსულის და კვარცხანის სპილენძის ქარხნებს. ძანსულის ქარხნის ნაყოფიერება დღეში 300—350 ფუთ სპილენძს უდრის. საუცხოვოდ არის მოწყობილი აგრეთვე კვარცხანის ქარხანა; იგი წელიწადში 100.000 ფუთ სპილენძს ამზადებს. გამოიკვლიეს აგრეთვე ყაფლანის თუჯის ქარხანა, 4 ტყავის, 4 თამბაქოს და ბევრი სხვა ქარხანა.

**✦ გვარდიის მომარაგება.** გვარდიის მთავარი შტაბი იწყება, რომ გვარდიის პურით მომარაგება სასურველად მიმდინარეობს. საერთოდ იმედია, რომ გვარდიის მუდმივ ნაწილების უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება საკუთარი პურით. გარდა ამისა, გვარდიას აქვს ბოსტნეულობა, რომლის ნაწილი გვარდიას შეუძლია დაუთმოს კოოპერატივებს მცხოვრებთათვის მისაწოდებლად. ამასთანავე მიღებულია ზომები ტანისამოსით და საცვლებით გვარდიის უზრუნველსაყოფად.

**✦ სახელმწიფო უნივერსიტეტში.** უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები დანიშნულია პირველ სექტემბრისთვის და 20 სექტემბრამდის გაგრძელდება. ლექციების კითხვა პირველ ოქტომბერს დაიწყება. შემოდგომის სემესტრი დასრულდება 30 დეკემბერს. უნივერსიტეტის გამგეობამ ახალი პროფესორები მოიწვია: პროფ. მ. წერეთელი, ასირიულ ენის კათედრაზე, ა. ჯავახიშვილი და სხ.

**✦ რუსეთ-საქართველოს კომისია. სამხედრო გარანტიების შესახებ.** მე-5 სხდომის ანგარიშში რუსეთის დელეგაციის თვალსაზრისი საერთაშორისო უფლების შესახებ შემდეგნაირად უნდა იყოს: საერთაშორისო უფლების პრინციპები უნდა იყოს მიღებული ხმარებაში თვით ხელშეკრულების არსებობის დროსაც.

**✦ ორთაჭალის მუშათა კლუბის** საზაფხულო ბაღში, დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც ამხ. ბ. თევზაია გააკეთებს მოხსენებას პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ.

**✦ მარგანეცის გატანა.** „ჩემოს“ საზოგადოებამ ფინანსთა მინისტრს მიმართა განცხადებით, რომლითაც ითხოვს გაცემულ იქნას განკარგულება ბათომის საბაჟოსადმი, რომ მარგანეცით გემების დატვირთვა ხდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ იქნება ვაჭრობის მინისტრის საგანგებო განკარგულება. მარგანეცით დატვირთული გემები არ უნდა გაუშვან ნავთსადგურიდან „ჩემოს“ ნებადაურთველად,

**✦ ყაჩაღების მოკვლა და დაჭერა.** სამურზაყანოს ადმინისტრაციამ მოჰკლა ცნობილი ყაჩაღები—ჩოტო გოგოხია და პლატონი ჯიმისტარიშვილი, დააპატიმრა მაკადარია, წვერავა, ზუხუბია, გოგოხია.

**✦ თფილისის სასამართლოს პალატაში.** ამა წლის 14 ივლისს გაირჩა საქმე სოფ. ნიგოითის მცხოვრებ ფილიპე ივანეს ძე ნიკოლაიშვილისა. მას ბრალდებოდა ყალბი ბონების გავრცელება. აღნიშნული პირი სასამართლომ უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა.

**✦ ზარალის გამორკვევა.** ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა ბორჩალოს მაზრის ბაშკირეთის რაიონში საგანგებო კომისია გააგზავნა სეტყვისაგან გამოწვეულ ზარალის გამოსარკვევად.

**✦ ყველა ამხანაგებს,** ჩაწერილთ, გვარდიის რეზერვში, მესამე რაიონში სთხოვენ გამოცხადდნენ 27 ივლისს, სამშაბათს საღამოს სრულ ექვს საათზე სახალხო გვარდიის ავლაბრის შტაბში.

**შემოწირულება.** ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივი მადლობას უძღვნის ამხ. იასე გლახოსძე კოქლამაზიშვილს და ამხ. პეტრე იორდანიშვილს, რომლებმაც კოლექტივს შემოსწირეს თითომ 100 მან.

**✦ ახალი წიგნი** რედაქციამ მიიღო ნ. ხომერიკის „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“. წიგნი სუფთათ არის გამოცემული, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 54 გვ. და ღირს 35 მან.

**✦ „დედა ენის“ გამოცემა.** „დედა ენის“ ორივე ნაწილი იბეჭდება ქალაქთა კავშირის სტამბაში და მზად იქნება პირველ სექტემბრისათვის. „დედა ენა“ პედაგოგთა სპეციალური კომისიის მიერ შესწორებული და შევსებულია მრავალი ახალი მოთხრობით და სურათებით ისე, როგორც ამას მოითხოვს პედაგოგიკის უკანასკნელი სიტყვა და ჩვენი სკოლის საბოლოოთ მიღებული პროგრამა. ქაღალდის უქონლობის გამო თითო-

ეული ნაწილი იბეჭდება მხოლოდ ასიათასი ცალი, რაც სავსებით ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას. სასურველია „დედა-ენა“ სამართლიანად განაწილდეს, რესპუბლიკის სკოლების შორის. ამიტომ საჭიროა ერობებმა და ყველა დაინტერესებულმა დაწესებულებამ აქედანვე გამოგზავნონ შეკვეთა და ბეც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. (დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5).

**საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო** პალატა ამ დღეებში შეუდგება თვის მუშაობას. პალატა მოთავსებულია ვოლგა-კამის ბანკის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

**სასურსათო დახმარება ქალაქებს.** ივლ. 21 შინ. საქმეთა სამინისტროში ნ. ჰიჰინაძის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი ქალაქთა შორის-კრების დამფუძნებელი კრების მიერ გადადებულ 20 მილიონი მანეთის განაწილების შესახებ. თათბირს დაესწრენ მომარაგების სამინისტროს, ქალაქთა კავშ. მთავარი კომიტეტისა, ქალაქისა და საერობო თვითმართველობათა წარმომადგენლები. თათბირმა საერთოდ მოიწონა ქალაქთა კავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტი დახმარების განაწილებისა, მხოლოდ შიგ შეიტანა ცოტაოდენი ცვლილება, მაგალითად: ქუთაისისათვის გადასდევს $3^1/_2$ მილიონი მანეთი, გორისთვის 1.250.000 მან., დუშეთს, ახალციხეს, ონს, ზესტაფონს და ოზურგეთს მისცეს თითო მილიონი და ქ. რედუტ-კალეს $2^1/_2$ მილიონი მანეთი.

**საკონტროლო აპარატი.** შრომის ბირჟასთან არსდება საკონტროლო აპარატი, რომელიც თვალყურს ადევნებს მუშებისა და მოსამსახურეების სამსახურში მიღების შესახებ დადგენილ წესებს.

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის № 106-ში მოთავსებულ ს. ს.-დ. მ. 3. მე-4 რაიონის და იმავე რაიონის მუშათა კლუბის ანგარიშში შეცდომით სწერია: მადლობის ღირსნი არიან ო. ოვანესოვისა და სხვ., უნდა იყოს: ო. ავალიანისა და სხვ.

**პროვინციის ქრონიკა.**

**დუშეთის** სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს, რომ მცხეთის უბნის სამილიციო სამართველოში გამოცხადდება გამგეობის მიერ დანიშნული კომისია, რომელიც შეამოწმებს საბუთებს, აგარაკების მფლობელთა უფლების შესახებ, ამისათვის ვალდებულნი არიან აგარაკის მფლობელნი გამოცხადდენ შესაფერი საბუთებით აღნიშნულ სამართველოში 8 აგვისტოს, კვირას დილის 11 ს.

**ქ. დუშეთი.** 10 ივლისს, საღამოს 6—7 საათზედ ადგილობრივმა გამომძიებელმა მიხეილ ხერხეულიძემ სატუსაღოდან გამოიყვანა ცნობილი ყაჩაღები დარჩო ჩოლოშვილი და ვ. პირმისაშვილი, ჩაუდგა მათ შუაში და ხელი-ხელში გაყრილებმა უშიშველებოდ გაიარეს ბაზარი და შევიდნენ გრ. ფარესიშვილის დუქანში; აქ დალიეს ღვინო და შექეიფიანებულები დაბრუნდნენ უკან ციხეში. ამაზედ შედგარია ოქმი და გადაცემული პროკურორზედ.

## მთავრობაში

**20 ივლისის სხდომა.**

**თამბაქოს უბაჟოთ გატანა სომხეთში.** მოისმინა რა საგ. საქმ. მინისტრის მოხსენება სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის შუამდგომლობის შესახებ, რომელიც შეეხებოდა სომხეთში თუთუნის უბაჟოთ გატანას, მთავრობამ დაადგინა ნება დართოს სომხეთში უბაჟოთ 300 ფ. თუთუნის გატანას. დადგენილ წესით 300 ფუთ თუთუნის გატანისათვის უნდა გადაეხადათ 900.000 მ.

**გატანის ნებართვა.** მთავრობამ ყარაბახ-ზანგეზურის რაიონის სათვისტომოს ნება დართო ზოგიერთ საქონლის გატანისა, რომლის შესახებაც მათ შუამდგომლობა ჰქონდათ აღძრული. ამასთანავე ლორისა და ვორონცოვკის კოოპერატივთა კავშირს ნება მიეცათ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალ ზონაში საქონლის გატანისა.

**სასამართლო დაწესებულებანი.** იუსტიციის მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა სასამართლო დაწესებულებათა საჭიროებისათვის ძმ. ბერელაშვილებს ჩამოერთვას მთელი ქონება, რომელიც სასამართლოს ქუჩაზე № 31 იმყოფება. გამორკვეულია აგრეთვე ჯამი, რომელიც უნდა მიეცეს მათ ამ ქონებაში. ეს გასავალი დაიფარება იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში მყოფ საბინაო კრედიტებიდან.

**ადგილობრივ ბანკების მოქმედება.** მომარაგების მინისტრის მოხსენების გამო ბანკების მოქმედებისა და ზოგი საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) მიენდოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს, რომ მან შემდეგი სხდომისთვის წარმოადგინოს სია იმ საქონელთა, რომლის შემოტანაც შეიძლება რესპუბლიკაში. 2) მიღებულ იქნას ზომები იმ ბანკების წინააღმდეგ, რომელთა მოქმედებაც რესპუბლიკისათვის მავნებლათ იქნება ცნობილი. (სდს.).

## უცხოეთი

**სომხეთი.**

**სამხედრო ცნობები.** სომხეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: „იგდირის“ მიმართულებით და არაქსზე სიწყნარეა. 16 ივლისს ოსმალეთის რეგულიალურ ჯარების ნაწილები ორჯერ დაესხენ თავს ოლთისის მიმართულებით სომხეთის ჯარების პოზიციებს ოლთის-პერენიქის გზასთან. სომხეთის ჯარებმა თავდასხმა მოიგერიეს. ჩვენმა მზვერავებმა შეგვატყობინეს, რომ შარურის რაიონი დატოვებიათ მცხოვრებლებს. ზოგიერთ ალაგებში ქურთები-ყაჩაღები არბევენ სოფლებს და მიაქვთ დატოვებული სიმდიდრე. მზვერავებს სოფ. აგასმეტთან შეტაკება მოუხდათ 25 ქურთთან; ქურთები არაქსისაკენ გაიქცნენ, ერთი მათგანი ტყვეთ ჩავიგდეთ. „ვოლჩია გოროტადან“ სად. შახტახტამდე რკინის გზა კარგათ მუშაობს; ხიდები მთელია. ერევნიდან დაბრუნებულმა თათრების დელეგაციამ კვლავ გადაიარა ჩვენი ბრძოლის ხაზები. 19 ივლისს დარალაგეზის მიმართულებით სოფ. ენგიჯაში ჩვენ მოწინავე ნაწილებს შეტაკება მოუხდათ მტერთან. დანარჩენ მიმართულებებით სიწყნარე იყო.

**სომხეთის მთავრობის პროტესტი.** სოჭის საბჭოთა მთავრობის განკარგულებით ოლქში ხდება სომეხ მოქალაქეთ დევნა. საბჭოთა მთავრობამ გასცა ბრძანება სომხების მობილიზაციის შესახებ წითელ არმიაში ჩასარიცხათ; იმავე მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს მთელი რიგი სომეხი—მოქალაქეები; გაცემულია ბრძანება სოჭში მყოფ სომხეთის წარმომადგენელის დახმარების შესახებ. აღნიშნულ დევნის გამო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში ჩიჩერინს. დეპეშაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობის მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო დამოკიდებულების ნორმებს;მით უმეტეს, ეს დაუშვებელია მაშინ, როდესაც სომხეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება სწარმოებს.

**ქემალ-ფაშას შტაბის სამხედრო ცნობები.** (მიღებულია საქართველოში არსებულ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის ბიულეტენებიდან) ანგორა, 3 ივლისი. აღმოსავლეთის ფრონტზე, ნახიჩევანის ჩრდილო-აღმოსავლ., სომხეთის ჯარებმა დაიკავეს რამოდენიმე სოფელი, მაგრამ მალე უკუქცეულ იქნენ; უკან დახევის დროს სომხეთის ნაწილებმა დასწვეს რამოდენიმე მუსულმანური სოფლები. აირდიხის რაიონში სომხების თავდასხმა უშედეგოა. ოლთისის რაიონში მცირე შეტაკებები იყო.

ანგორა, 6 ივლისი. აღმოსავლეთის ფრონტზე სომხების მიერ დაკავებული ნახიჩევანის ჩრდილო - აღმოსავლეთით მდებარე სოფლები უკანვე დავიბრუნეთ. სომხები სწვამენ სხვა სოფლებსაც. სომხეთის კავალერია და ქვეითი ჯარი დავამარცხეთ და გავრეკეთ ორთულისა და ორტანიკლის მიმართულებით; მათ 80-მდე მოკლულ-დახოცილი დაკარგეს. გავრეკეთ აგრეთვე სომხების მზვერავები. ერევნის მიდამოებში მუსულმანები მიიწევენ სომხეთის შუაგულისაკენ.

**გერმანია.**

**მზადება ჟენევის კონგრესისათვის.** როგორც ვიცით, საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ მოწოდებით მიმართა ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს და იგი წინადადებას იძლეოდა დაემზადებიათ უკანასკნელებს ანგარიშები და მოხსენებანი ჟენევის კონგრესის დღის წესრიგში მდგარ საკითხების შესახებ 15 მაისისათვის. გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიამ დაამზადა ანგარიშები ომისათვის პასუხის მგებლობის საკითხის შესახებ 3 ენაზე: ნემეცურზე, ფრანგულზე და ინგლისურზე. დემოკრატიისა და დიქტატურის შესახებ განსაკუთრებულ მოხსენების მაგივრათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საერთაშორისო ბიუროს ამ საკითხის შესახებ დაწერილი კარლ კაუცკის ბროშურა გაუგზავნა, რომელსაც წარუმძღვარა შემდეგი განმარტებით წერილი: „ვასრულებთ რა 26 დეკემბრის ცირკულიარს № 6 სოციალიზმის პოლიტიკურ ფორმაზე მოხსენების წარმოდგენის შესახებ, — გიგზავნით კარლ კაუცკის ბროშიურას—„დემოკრატია თუ დიქტატურის“ 2 ეგზემპლიარს, ვინაიდან ამ ბროშიურაში გამოთქმული შეხედულებები სავსებით ეთანხმება პარტიის შეხედულებებს ხსენებულ საკითხის შესახებ. კაუცკის სწორათ აქვს გაშუქებული ამ საკითხის მდგომარეობაც გერმანიაში“.

სოციალიზაციის შესახებ პარტიას განსაკუთრებული მოხსენება არ წარუდგენია და მიუთითებს ბიუროს ამ საკითხის დასასაბუთებლათ არჩეულ პარტიულ კომისიის ანგარიშებზე, საერთაშორისო ბიუროსთან დაარსებულ კომისიაში, რომელმაც უნდა დაამუშაოს საკითხი სოციალიზაციის შესახებ, გერმანიის ს.-დ. პარტიამ აირჩია ამხ. ოტტო გუე. („ფორვერტსი“).

## მგზავრის დღიურები

**მთებში და უღელტეხილებში.**

1 ივნისი.

**ღ ა მ ე.**

დაღამდა. მთები სრულიად ბნელი ნისლით დაისუდრენ. საშინელი ქარიშხალია; ხან თოვს, ხან სეტყვაა, ხან წვიმს და მკაცრი ცივი ქარი უბერავს. აქა-იქ მთებში და ხეობებში დროგამოშვებით სროლა ისმის. გვარდიელები და ახალგაზრდა ჯარისკაცები ძალზე დასველებულები განაგრძობენ მოვალეობის შესრულებას. ზოგი ქვევით მიიჩქარის, ზოგი ზევით თოვლიან მთისაკენ.

პატარა წყაროს პირად კი ასვენია ცხედარი, რომელსაც ძველი შინელი ჰფარავს. გამჭლელი ჯარისკაცები და გვარდიელები ჩერდებოდნენ, დახედავდნენ, თავს ჩააქნევდნენ და დაღონებული შორდებოდნენ

იგი იყო გვარდიის ათასეულის უფროსი ვასილ მაქსიმოვი, რომელმაც დილის ბრძოლაში დაამთავრა თავისი სიცოცხლის ფურცელი. სამი დღის წინად მას აწყურში გამოვეთხოვე. იქ დამიბარა—ადრე მოდიო. მე მივედი, მხოლოდ ის ცოცხალი აღარ დამხვდა. ყველა გრძნობდა მძიმე მსხვერპლს: ჯარისკაცები, გვარდიელები, აფიცრები. რავდენი ტანჯვა აიტანა მან რევოლიუციის პირველ დღეებიდან, რავდენი ბრძოლა გამოიარა და რა ძვირფასი ფურცელი დასტოვა საქართველოს ისტორიაში!

იგი სულით რევოლიუციონერი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგული მოსარჩლე და როგორც სამხედრო პირი, საუკეთესო მხედარი. მონაწილეობას იღებდა ოსმალეთის ომში, ახალციხის ბრძოლაში, ბათომ-გურიის მხარეზე ბალშევიკების წინააღმდეგ, სომხეთის ომში, გაგრაში ბალშევიკ-დენიკინის ბნელ ძალებთან, ოსეთში—ჯავაში. პრუსიიდან დაბრუნების შემდეგ დაუსვენებლივ ბრძოლაში იყო,—როდის გათავდება ომები, რომ ერთი თვე დავისვენოო,—გვითხრა ამხანაგებს, ერთი თვის წინეთ.

ვასილი იყო ჩუმი, წყნარი და მოსაქმე. ცოტას ლაპარაკობდა, ბევრს აკეთებდა. იგი უყვარდათ გვარდიელებს, უყვარდა ხალხს... ყველა სწუხდა.

---

პატარა და დარღვეულ „იაილებში“ დაჭრილ-დაავათმყოფებულნი იწვნენ: სახე გამხდარნი, ჩაყვითლებულნი გვარდიელები და ჯარისკაცები. მათ ქარი თავისუფლად უბერავდა, წვიმა და თოვლი ჩამოდიოდა. ზოგი გმინავდა და ზოგი კვნესოდა.. შეკითხვაზე,—თუ როგორ არიან,—გვიპასუხეს: კარგათ, მხოლოდ ვსწუხვართ, რომ ასეთ დროს დავეცითო. ისინი დრო გამოშვებით ამოიძახებდნენ.

— ვასილ მაქსიმოვი მოჰკლეს!..

ვინ იყვენ ისინი?

ეს-ის გვარდიელები და ახალგაზრდა ჯარისკაცებია, რომელნიც 27 თებერვალიდან მთებში და უღელტეხილებში არიან და მძიმე ტანჯვას იტანენ. მათ ოთხი თვის განმავლობაში არ უნახავთ მოსვენება, ბინა, ადამიანური ცხოვრება და მიუხედავათ ამისა, ერთხელაც არვის მოუსმენია მათი საყვედური.

— ხომ კარგათ დაიღალე?—შევეკითხე ერთ მათგანს.

— რის დაღლა, განა სირცხვილი არაა, რომ ამას მეუბნები... მე თავს მოვიკლავ, რომ ეხლა არ წამოვდგე ფეხზე,—მიპასუხა მან და ეს იმ დროს, როცა სიცხისაგან იწოდა... იგი ძალზე სწუხდა, რომ იწვა, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა მას ძალა აღარ ჰქონდა წამომდგარიყო.

— ეი, ბიჭებო, სადა ხართ!—წამოიძახა ერთმა, როცა მოაგონდა წინადღით უგზო-უკვლოთ დაკარგული გვარდიელები...

გავიდა რამოდენიმე საათი. დაბნელდა. მარცხენა მთაზე მდგარი გვარდიელები ძალზე დასველებულნი განაგრძობდენ დარაჯობას თოვლით მოსილ მიდამოებში.

27 თებერვლიდან ისინი გამოცვლილან, ძალზე გამხდარან, მათი შეხედვა ერთი მხრით დამაფიქრებელია, მეორე მხრით გამამხნევებელი. დამაფიქრებელია, რომ ძვალტყავათ გადაქცეულან, მხოლოდ გამამხნევებელია, რომ ამაყათ გამოიყურებიან და მოწინააღმდეგეთა მოლოდინში ავიწყდებათ ყოველგვარი გაჭირვება.

2 ივნისი, დილა. გათენებისას სამხედრო ბანაკში მდგომარეობა შეიცვალა. მთებში სროლა დაიწყო და გაძლიერდა. დაბლობში დარჩენილი გვარდიელები აფიცერ დ. ჰავჭანიძის ხელმძღვანელობით ზევით მთისაკენ წავიდნენ, სადაც გვარდიის პირველ გუნდს თავს დაესხენ და ბრძოლა მიმდინარეობდა, ყველგან საერთო მოძრაობა დაიწყო, მთის მეორე მხარედან, რომელიც დაბლობს დაჰყურებს, სადაც არტილერია იყო, „ჩეტნიკებმა“ კანტიკუნტი სროლა ასტეხეს, რომელიც ერთ საათში შესწყდა.

მე და ერთი გვარდიელი ნაშუადღევს კამარას მაღალ და თოვლიან მთიდან უთხის უბნისაკენ წავედით, ვინაიდან ნისლი ზოგიერთ ადგილებიდან გადაღებული არ იყო და მასთან მთის ბილიკები არ მოსჩანდა, ჩვენ უთხის უბნის მიმართულებას სრულიად ავცდით და ჩჩლიას მიდამოების უდაბურ ტყეებში ამოვყავით თავი. დაღლილი გვარდიელი ხშირად ისვენებდა და თან მიიჩქაროდა;—ვინ იცის, შეიძლება გზა სრულიად დაგვეკარგოს და ვერ გავიდეთო,—ამბობდა ის. გვარდიელი ასაკელი იყო. სახე სრულიად გაყვითლებული ჰქონდა. სამ თვეზე მეტი იყო, რაც ის მთაში ცხოვრობდა.

საღამო მოახლოვდა. ცამ მოიწმინდა და მზემ უდაბურ ტყეს გადმოხედა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მივადგქით მაღალ გორას, საიდანაც გამოჩნდა სოფლები და ზარმის მონასტერი, რომელსაც შემოუარეთ და ადიგენისაკენ გავსწიეთ. ზარზმიდან სოფელ ყარათუბანში მივედით. ადგილობრივი თათრები გვეკითხებოდენ გორდეჭის და ხულოს ბრძოლის ამბებს. სოფლებში შიშიანობა იყო და ყველანი ერთს და იმავეს იმეორებდნენ:

— აღარ გვინდა, რომ ჩვენი სოფლები იმავე დღეში ჩავარდეს, რაც ფოცხოვის რაიონს დაემართაო.

**იბოლი მგზავრი.**

(შემდეგი იქნება).

## სამურზაყანოში

მესამეჯერ მიხდება სამურზაყანოს ჩამოვლა. პირველად, 1918 წ. გაზაფხულზე ორი ამხანაგი, როგორც პოლიტიკური წარმომადგენლები მოვყევით მთავრობის ჯარს.

მაშინ სამურზაყანო და მთელი სუხუმის ოლქი გადაქცეული იყო ბალშევიკების სათარეშო მოედნათ.

ამ დროს აქ ბალშევიკებს მეთაურობდა ცნობილი მემამულე, რეაქციონერი (აწ განსვენებული) მანუჩარ შერვაშიძე. მას გარს ეხვივნენ ცნობილი ყაჩაღები და ბალშევიკების იარლიკით ბატონობდნენ მაზრაში დიდხანს. ადგილობრივი მოწინავე პირები—სახალხო მასწავლებლები და სხვანი ტერორის ქვეშ იყვნენ. ზოგიერთმა მათგანმა გაქცევით უშველა თავს, ნაწილი სიკვდილით დაისაჯა, როგორც მაგ. საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი ამხ. კონსტანტინე შარია და სხვები ხალხს, შეშინებულს და თავზარდაცემულს, მეტი გზა არ ჰქონდა თუ უსიტყვოთ არ შეესრულებინა ბალშევიკების ბრძანება, აეტანა ტანჯვა-წვალება და შეურაცხყოფა. მახსოვს, გლეხები ჩვენთან საუბრის დროს, ჩუმად, არავინ გაიგოსო, ამბობდნენ: „ნიკოლოზის დრო სამოთხე იყოვო“. პროვოკაცია, დემაგოგია და სხვა. საშინლათ განვითარებული. ბალშევიკები პირით ავრცელებდნენ ხმებს: „ქართველები მოდიან თქვენთან, როგორც მემამულეების დამცველები, ძირს ქართველები“! ენგურის გამოღმა მეგრელებში ასე მოლვაწეობდენ. ბოლოს, როგორც იყო, სახალხო გვარდიამ აღადგინა წესიერება. ადგილობრივი ამხანაგების ენერგიული მუშაობით ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ მოსვენება მაინც არ იყო. ასობით ყაჩაღები დათარეშობდნენ სოფლად, დიდი უმრავლესობა „ბალშევიკები“ იყვნენ. ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, დაცემა და სხვა ჩვეულებრივ მოვლენათ იყო გადაქცეული. ყოველივე ეს ადგილობრივ გვარდიის და ერობის შემწეობით გასულ წელს ცოტათი შენელდა, დღეს კი დიდათ შემცირდა.

მოახლოვდა სოხუმის ოლქში დამფ. კრების დამატებითი არჩევნები. საარჩევნო ასპარეზზე გამოვიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ს.-დ., ს. რ., ს. ფ., ნ. დ. სხვა. ჩვენ გვეგონა, რომ პარტიები ადგილობრივ პირობებს და მომენტს ანგარიშს გაუწევდნენ და ხმების ძებნაში არ გასცდებოდნენ რესპუბლიკის ინტერესებს.

აქ მასსა ძლიერ ჩამორჩენილია და შეიძლება ზოგ ლოზუნგის გადასროლას ცუდი შედეგი მოჰყვეს.

სამწუხაროთ საშინელ დემაგოგიას და პროვოკაციას ქონდა გასავალი. განსაკუთრებით თავი ისახელა ადგილობრივ ესერების პარტიამ ჩხოლორაია და ბერუჩავას მეთაურობით. იმათში გამონაკლისს შეადგენდა ესერების სამაზრო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ბაგრატ უჩანეიშვილი, რომელიც არჩევნების გათავების შემდეგ სრულიად გავიდა ესერების პარტიიდან და ეხლა მათ საგმირო საქმეებს აქვეყნებს სოხუმის ს. დ. რუსულ გაზ. „Наше слово“-ს ფურცლებზედ. საოცარი იყო მათი განუხორციელებელი დაპირებები. ამაში ბალშევიკებსაც კი გადააჭარბეს. ხალხი უსმენდა, ხალხი მოელოდა, მაგრამ მწარედ მოსტყუვდა.

მახსოვს,—ერთ საზოგადოებაში, სახელდობრ, ბედიაში, ესერების თვალსაჩინო პროპაგანდისტს საერთო კრებიდან მოხუცებულთა ჯგუფი გამოეყო და ჩუმად ჩასჩურჩულებდა: „ჩვენ დაგვაჯერეთ, ხმა მოგვეცით და რაც გჭირიათ ყველაფერს მზამზარეულად მოგიტანთო; ჩვენს პარტიაში ნასწავლი ხალხია, განსაკუთრებით ექიმები ბლომათ გვყავსო, უფასო წამალი და გასინჯვა, მოვლა და სხ. 20 წლით სიცოცხლეს გაგიგძელებთო ასეთი დაპირებებით გააბედნიერეს. „ხმას მოგცემთ და გამოგცდითო“, იყო პასუხი, მისცეს ხმა, მაგრამ სად არის უკვდავების მალამო? ესერები გაქრენ იმ დღიდანვე.

დღეს მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ესერების ხსენებაზე ლაპარაკი მეტია. საბედნიეროდ, ერობა განაგრძნობს ნაყოფიერ მუშაობას ხალხი და ერობა ხელი-ხელ ჩაკიდებული აკეთებენ სახალხო საქმეს. საზოგადოება ერობის მოკლე ხანს მოღვაწეობით კმაყოფილია. იმედი აქვთ რომ შემდეგში ერობა გააფართოვებს თავის მოქმედებას. (ერობის გამგეობის შემადგენლობა. სოც. დემ.)

სამურზაყანოში არის სამაზრო სახალხო გვარდია. უნდა ითქვას, რომ გვარდიის შემადგენლობა დიდ იმედებს იძლევა.

მასსა თან და თან ერკვევა. დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან ს. დ. პარტიას. ბალშევიკების ხსენებაზედ ხალხს ბრაზი მოსდის, დამფუძ. კრებას და მის მიერ არჩეულ მთავრობას ხალხი დიდ თანაგრძნობას უცხადებს. ბათომის საქართველოსთვის დაბრუნებამ მასაში განუსაზღვრელი აღფრთოვანება გამოიწვია.

სამურზაყანო გარკვეულ გზას დაადგა...

დამფუძნებელი კრების წევრი **ბარნაბ ძველაია.**

## საქართველოს ორი კედრი ჭანეთი და საინგილო

ძლიერების დროს საქართველოს ეპირა დარუბანდსა და მტკვრის შესართავს აქეთ არეზის გაყოლება არზრუმამდე და ტრაპიზონამდე მთელი მიწა-წყალი კავკასიონის მწვერვალამდე, მაგრამ ეთნოგრაფიულად ქართველ გვარტომობის მოსახლეობის მიჯნები დასწყებოდა აღმოსავლეთით ხილხალს, რომელიც ქ. ნუხს შორავს 30 ვერსით აღმოსავლეთის მხრივ, მერე ხილხალიდან ჩამოდიოდა ხაზი მტკვრამდე და ამ მდინარის პირპირ მოაწევდა მასში მდ. დებედას შესართავამდე. აქედან მიჯნა მიდიოდა ამ დებედა-ბერდუჯის გაყოლება აშოც-ჭარსის მთებით ჩილდირის ტბის გაღმით მტკვრის სათავეებიდან ჭოროხის და ღალისის სათავეებამდე და აქედან ამ ღალისის გაყოლება შავ ზღვამდე, ასე რომ ქართველ მოდგმას ამ ნაჩვენებ ხაზსა და კავკასიონის მწვერვალებს შორის ეკავა მიწა, რომელსაც შეადგენდნენ მთელი **კახეთი** (საინგილო, ქიზიყი, საკუთრივ კახეთი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, საგურამო, გლდანმარტყოფ-ორხევ-იორი); **ქართლი** (გორის, დუშეთის, თფილისის და ბორჩალოს მაზრები აბოციურთ); **მესხეთი** (ახალციხის, ახალქალაქის, არტაანის მაზრები ოლთისიურთ): იმერეთი (მთელი სივრცე ლიხს იქით შავ ზღვამდე); **კლარჯეთი** (ჭოროხის ხეობა) და ჭანეთი.

მაგრამ მტერთ მორევისა და ბინადარ მკვიდრთ გადაგვარების გამო კახეთს აღმოსავლეთის მხრივ მოეჭრა დღევანდელ საინგილოს იქით მთელი სივრცე ნუხის მაზრისა ანუ გიშელის (ნუხის) მთელი სამწყსო მისადევარი, ე. ი. 60—70 ვერსის მანძილი კახის ყანიყობიდან ვიდრე ხილხალამდე, და ამ მანძილის განაპირს ვართაშენში დაშთენ დღეს მხოლოდ ქართველობის ნატამალი უდებები, ისიც ნახევრად გადაგვარებულნი.

ასრევე დაზიანდა ქართველი მოსახლეობა ბორჩალოს მაზრის განაპირას, აგრეთვე აბოცს და მტკვრისა და ჭოროხის სათავეებში, უმეტესად კი შევიწროვდა საქართველოს დიდების კერია ჭანეთი.

დღეს ჭანეთს ანუ ლაზისტანს შეადგენენ რიზეს და ათინას ოლქები, საცა ზოგიერთნი უჩვენებენ 100,000-მდე მკვიდრ მოსახლეს, ზოგნი კი ამ მოსახლეობას 200,000-მდე სთვლიან. უწინ კი ქრისტეს დაბადების წინა საუკუნეებში ჭანელებს (ლაზებს) ეკავათ ჭოროხს იქით შავი ზღვის პირპირ ზ მდ. ღალისს აქეთ მთელი მიდამო. ალექს. მაკედონელის ჟამს (მე-4 საუკ. ქრ. წ.) აქ ცხოვრობდნენ მაკრონები დედა ქალაქით ტრაპიზონით, მერე მოსინეკები და შემდეგ ხალიბები—ხალდნი და კაპპადოკიელნი (იხ. კიპერტის Atlas autiquns, tab. II). ხოლო შემდეგ საუკუნეებში (იქვე, tab, IV) ჩანან:

**ბიზერები**, ჭოროხს იქით, დაბებით: აპსაროს, არქაბის, მორთულა, ათინა—ათენა, ადიენუს.

**ჭანები** დაბებით: რიზე აწყურის წყალზე, ოფის ოფიას წყალზე, სუსურმენა პისსუს წყალზე.

**კოლხები** (Colchi), ქალაქებით ტრაპიზონი და ჰერმონასსა.

**დრილები** კოლხებ ზემო.

**მაკრონები** დრილებ ზემო მთებისკენ, დაბით ზიგანა.

**მოსინეკები** დაბებით ცერაზუს, ტრიპოლის.

**ტიბარენები** დაბით ფარნაკია.

**ხალიბნი** (ხალდნი) დაბით კოტიორა (ორდუ, თემისკარა—თემისცირა).

**კაპპადოკიელნი** (კაპადუკიელნი), დასახლებულნ თემთა შიგნით ღალისის რკალივით მინადენობას აქეთ, ქალაქებით მაზაკა, თავია, ზამა, შორობა, მაღალსსა, გარშაურა და სხ.

ღალისს აქეთ სივრცეს, როგორც იუწყება მოგზაური გერასიმე ნადარეიშვილი, საბერძნეთი დღესაც ისევ უწოდებს მისს ძველს სახელს, ლაზისტანს (ლაზიკას).

ეს ის ქვეყანაა, საცა ჭანის ქალისაგან ქრისტეს წინა საუკუნის 20 წელს დაიბადა მსოფლიო გეოგრაფოსი სტრაბონი, დაწვრილებით აღმწერი ივერიისა მის მშვენიერ კრამიტით გადახურულ სახლებთან ქალაქებისა, აქ მოღვაწეობდა ქართველ ერის მადიდებელი მიტრიდაც დიდი, რომელმაც შეაერთა რა ქართველი ტომები და ბოსფორი (ყირიმი) და გაიჩინა ძლიერი ფლოტი, რომელიც შესდგებოდა სამხედრო გემით, დაიპყრა მაკედონია და ათინა და სასიკვდინო, ომი გამოუცხადა ძლიერ რომს, მაგრამ დამარცხდა შვილის მახარას ღალატით 63 წელს.

აქ აღორძინდა და აქედგან მოვიდა მცხეთას საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინო.

აქაური იყვნენ დიდი ბასილი, დიდი ათანასე, სვიმონ მესვეტე (VI ს.), რომელმაც ქართლს გამოგზავნა 13-ნი მამანი (შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელი, ანტონი მარტყოფელი და სხ.)

ერთ დროს ლაზისტანი ანუ ლაზიკა ჰფარავდა მთელს იმერეთს (კოლხიდას) და ამ დროს მისი მეფეები იყვნენ გუბაძე ლობაზიანი (457—461 წ.), მისი ძე ზამანაჯსი (522 წლამდე), ჭათის (522 წლიდგან), ოფსიტის, გუბაძე (539—554), ჭათის (555 წ.).

მე-4 მსოფლიო კრების განაჩენზე ხელს აწერენ: „თეოდორე ეპისკოპოსი ლაზთა ქვეყნის ფაზისა“, „იოანე ეპისკოპოსი ლაზთა ქვეყნის პეტრასი“.

შემდეგ ძლიერება ლაზთა დაკნინდა: ქვეყანა ჯერ დაიპყრეს რომაელ-ბიზანტიელებმა. შემდეგ თურქებმა, მაგრამ 1204 წელს ლაზისტანს მოევლინა ლაშქარი თამარ მეფისა, რომელმაც დაიპყრო მთელი მხარე და იმის მაგიერ, რომ შემოეერთებინა იგი საქართველოსთვის, დააწესა აქ პონტოს იმპერია, რომელსაც იმპერატორად დაუდგინა თავის ნათესავი კომნენი. ამ იმპერიამ იარსა 1461 წლამდე და ამ წელს-კი იგი დაიპყრეს ოსმალებმა. ეს შეიქმნა საბედისწერო წლად მთელის მესხეთისთვის, ვინაიდგან ლაზისტანი მომაგრებულ ოსმალებმა ნელ-ნელა დაიმორჩილეს მთელი ეს მხარე და 1626 წელს კი უკვე შეიქმნენ მის სრულ ბატონპატრონად და მამა-პაპათა შენაძენი ბრწყინვალე კულტურა ამიერიდგან მუსრვას მიეცა, განაპირა კუთხეების მოსახლეობა-კი გადაგვარების ცეცხლში ჩავარდა...

დიდ და ვრცელ ლაზისტანიდამ დღეს, როგორც ვთქვით, დაშთა მხოლოდ ორი ოლქი, რიზესი და ათინისა. აქ ლაპარაკობენ თავიანთ ჭანურ კილოზე, ხოლო ამ ოლქებ გარეშეებს უკვე დაუვიწყნიათ ღვიძლი ენა და გადაგვარებულან ზოგი ბერძნად და ზოგი ოსმალოდ. აქეთურ ჭანებს აქვთ თავიანთი ლამაზი ქალაქები: რიზე, ათინა, არქაბე და სხ. და დაბები სოფა, აფიშხო, ბულეფი (ბულები—ბალები), სულეთი, დუდესვათი.

ამათ ათინას შეეხება პერიეგუტის თქმულება: პოლიდექ და ვასტორმა, კოლხიდიდამ გამოქცეულებმა ააშენესო დაკედემონიაში აგრედ-წოდებულ აზის სიწმიდის ათინას ტაძარი, რომელიც იმალვებაო კოლხეთში. ეს ათინა ანუ ათენა იყო სინათლის ქალღმერთი და მას ასეთი სახელი დაერქმეოდა ქართულ ზმნიდამ თენება—თინათინება.

არც საქართველოს იმ წვერს (ლაზისტანს) და არც საქართველოს ამ წვერს (საინგილოს), მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, არ დაუკარგავთ ქართველ ერის უკეთესი თვისებები: უზომო სიყვარული მამულისა, თავდადებით დაცვა მის თავისუფლებისა, არც მისი სანუკვარი სულისკვეთება:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. იმათი და ამათი კილოებიც ერთურთს ეუვისება: ლაზები რომ სტუმარს ეკითხებიან: „მციქა გიბერი ხორცი მოგილაი?“, ინგილოები იმასვე იმეორებენ: „ცაცქნა გბარი— (მოხარშული, მგბარი; ხორცი მოგილოა?“ და, ბოლოს, ისინიც და ესენიც მოუთმენლად მოელიან დროს, რომ შემოუერთდნენ დედა-საქართველოს; და ეს დროც ხომ უკვე მომწიფდა ბათომ-აჭარის შემოერთების შემდეგ, და ჩვენი სახელოვანი დემოკრატია არ მოისვენებს, ვიდრე ამ და იმ წვერების შემოერთებით არ დაავგირგვინებს მთელის საქართველოს გაერთიანებას.

**მ. ჯანაშვილი.**

## მცირე შენიშვნა

**მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ.**

(წერილი რედ. მიმართ).

1920 წლის, მკათათვის 17-ს ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. ახალქალაქში (გორის მაზრა) ვიღაცამ მიპარვით მოჰკლა 49 წლის ინტელიგენტი ქალი ალექსანდრა გიორგის ასული თარხან-მოურავი—დედა რვა სული ბავშვისა, სახლკარ აწიოკებული, თავშესაფარს მოკლებული და ლუკმა-პურის შოვნისთვის შრომაში გამობრძმედილი. მკვლელობა თავის შინაარსით მეტად დამაფიქრებელი, ხოლო სისრულეში მოყვანის მხრივ ყოვლად საზიზღარი და გაუმართლებელი.

რამ გამოიწვია ეს? იქნება აგრალური საკითხი იყო მიზეზი? მაგრამ მთელს საქართველოში მიწების გადაცემა მოხდა თითქმის უმტკივნეულოთ. ან კი რა შეეძლო მოხუცებულ ქალს, რომელსაც უკვე ჩამორთმეული ჰქონდა მამული და სოფელს დაუბრუნდა კუთვნილი ნორმის დასამუშავებლად? ყველას, ვინც იცნობდა მას, ალბად, ახსოვს მისი სიტყვები, არა ერთხელ გამეორებული: „მიწები ჩამოგვართვეს, მაგრამ თავისუფალი საქართველო მოგვცესო“ და განა წარმოსადგენია რაიმე წინააღმდეგობა? ეს არ არის ახალი ამბავი. ეს ერთი ხანია ახალქალაქის მიდამოებში ხდება ასეთი მკვლელობა, ეს აგერ უკვე მეოთხე მსხვერპლია ქალით თუ კაცით. ჩვენ შიში გვებადება, რომ ამ გამძვინვარებულ ტერორს არ მოჰყვეს უარესი რამ. განა ცოტაა ალვირ-ახსნილი ავაზაკი, რომელიც ბალშევიკურ ლოზუნგს ამოფარებული საკუთარ ყაჩაღურ მიზნებს ანხორციელებს? განა ცოტაა საკუთარი სულის გამყიდველი, რომელიც სხვისი ფულით სხვისა საქმეს აკეთებს?.. არის კიდევ ერთი გარემოება, რაც არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს: ადმინისტრაცია, რომელიც მოწოდებულია ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის, რომელიც მაგალითს უნდა აძლევდეს სხვებს და იჭერდეს ურჩთ, თვითონ ვერ იდგა შესაფერ სიმაღლეზე. იმის ნაცვლად, რომ ყველაზე ადრე გამოცხადებულიყვნენ დასაფლავებაზე და ამით ეთქვა ხალხისათვის,—ჩვენ ყოველგვარ მოვლენას სათანადო პასუხს ვაძლევთ,—სადღაც მიმალულიყო და ისეთს შთაბეჭდილებასა სტოვებდა ეს იქ არ ყოფნა, რომ ძალაუნებურად იფიქრებდი: ვაი თუ ადმინისტრაციაც თანაუგრძნობს ტერორსო.

რა არის ყოველივე ეს, თუ არა აშკარა ნიადაგის მზადება ბალშევიზმისათვის? ჩვენ იმდენად არ გვაინტერესებს მოკლულთა ვინაობანი, რამდენათაც მკვლელობის გარემოება. ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარ მოვლენას აქვს თავისი შინაარსი და მიზანი, რომელსაც იგი ემსახურება, და აი, იდუმალი წუხილი გვიპყრობს, როცა გვაგონდება, რომ შეგნებული თუ შეუგნებელი დახმარებით მზადდება ნიადაგი იმისთვის, რასაც ასე თავგამოდებით ებრძვის ქართველი დემოკრატია.

**დონ—ან.**

**პასუხად მირიან სადრაძეს**

25 ივლისის „ერთობის“ № 166-ში თქვენ მიწვევთ სამედიატორო სამართალში. მატყობიებთ 25 ივლისს და საქმის განსახილველ დღეთ ნიშნავთ 26 ივლისს. ამასთან არ მატყობიებთ თქვენს მისამართს ერთის მხრით და მეორე მხრით—ადგილს, სადაც უნდა შესდგეს სასამართლოს სხდომა. მოკლედ—რომ ფონს გახვიდეთ, მაყენებთ ტეხნიკურად შეუძლებლობის პირობებში. ამიტომ ჩემის მხრით მოსამართლეებს დავასახელებ ორი დღის განმავლობაში და მათ გვარებს ვაცნობებ თქვენ მიერ დანიშნულ მოსამართლეებს. ჩემი მისამართი: სასტუმრო „ბელვიუ“. **ს. ჯაში.**

## ჩვენი უნივერსიტეტი და სტუდენტობა

26 მაისი ჩვენი ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის დღეა. ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი ჩვენ ეროვნულ თავისუფლებას; ჩვენი დემოკრატია ამ დღეს განთავისუფლდა უცხო ძალების ბატონობისაგან.

26 იანვარი კი ჩვენი ეროვნულ კულტურის ისტორიაში არის ისეთი სხვამოსილი და მრავალფეროვანი დღე, რომელიც თავისი უდიდესი მნიშვნელობით გვერდში უდგას 26 მაისს. 26 მაისი და 26 იანვარი,—ეს ორი დატა გადაჯაჭულია, ერთი მეორეზე, პირველი ავსებს მეორეს და მეორე პირველს.

26 იანვარს დაარსდა პირველად საქართველოში მეცნიერების ტაძარი—სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ დღიდან ქართველ სტუდენტობას —ახალგაზრდობას მიეცა საშუალება ქართულ ეროვნულ ცოდნის და კულტურის შეთვისების და აყვავებისა. სამი წელიწა-

დია, რაც არსებობს ჩვენი უნივერსიტეტი და ამ მოკლე ხნის განმავლობაში მისმა ხელმძღვანელებმა შესძლეს ბევრ რამის გაკეთება, რომელიც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დღეს მის გარშემო შემოკრებილია იდეური, ამ წმინდა საქმით დაინტერესებული და გატაცებული ჯგუფი.

მაგრამ ამ უნივერსიტეტის სტუდენტთა მდგომარეობა დღეს იმდენათ ანორმალურია, რომ ამ გარემოებისადმი გულცივობა, მისი გაუმჯობესების შემდეგი დროისათვის გადადება უდიდესი დანაშაული იქნებოდა ჩვენი მომავლის წინაშე. ეს უუდიდესი საქმე ახლა მოითხოვს დაუყონებლივ მოგვარებას. საკითხი სტუდენტობის ნივთიერად უზრუნველყოფის შესახებ უნდა დასმულიყო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, რადგან მაშინვე აშკარა იყო ამის საჭიროება. მაგრამ თუ მაშინ ეს შეუძლებელი იყო, დღეს ეს შესაძლებელი უნდა იქნეს და უკან არავინ უნდა დაიხიოს, რადგანაც ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არის დიდი ეროვნული საქმე.

ცხოვრების ზღაპრულად გაძვირების გამო მშობლებს არა აქვთ საღსარი თავიანთი შვილები ნივთიერად უზრუნველჰყონ. ქართველი სტუდენტები სულ მცირე გამონაკლისის გარდა, არის იგი ქალაქის მუშის, სოფლის გლეხის, თუ ინტელიგენციის შვილი, კერძო თუ საზოგადო სამსახურში არის ჩაბმული. 90 პროცენტი სტუდენტობისა კუჭის დასაკმაყოფილებლათ ეწევა სადღაც კანცელარიებში მის პროფესიისათვის სრულიად შეუფერებელ მუშაობას. მას უნდა ერთიც გააკეთოს და მეორეც, მაგრამ გამოდის, რომ ვერც ერთს აკეთებს და ვერც მეორეს.

ჩვენი უნივერსიტეტი ასეთ პირობებში ხოგვცემს ნამდვილი საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებულთ, ახალგაზრდობის მაგიერად ზედმეტ შრომისაგან ფიზიკურად დასუსტებულ, გონებრივათ დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანებს, რაც უეჭველია ჩვენს კულტურულ წინსვლელობას შეაფერხებს, გაყინავს და დააბნინჯებს იმდენათ, რამდენადაც ზერელე იქნება სტუდენტებისაგან უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა. ჩვენი უნივერსიტეტი წარმოშვა რევოლიუციამ, ის მუშათა კლასის მონაპოვარია. დღეს ვხედავთ, რომ უნივერსიტეტის გარშემო შემოკრებილან ამ დემოკრატიის შვილები, მათ ცოდნა უნდათ მიიღონ, რომ შემდეგ თავისი ცოდნა თავის ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობას მოახმარონ. კუჭი კი ამის ნებას არ აძლევს. მარტო ის ფაქტი, რომ 90% უნივერსიტეტის სტუდენტებისა სამსახურშია ჩაბმული, ნათლად მოწმობს, რომ აქ სწორედ დემოკრატიის შვილები შეკრებილან, რომელთაც წინეთ იგივე უსახსრობა არ აძლევდა რუსეთში წასვლის ნებას, რათა სწავლა მიეღო. მათ იციან თავიანთი ფიქტიური არსებობა უნივერსიტეტში, მაგრამ მწარე სინამდვილეს სად გაექცევიან. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში არის დიდი ნაკლულევანება სპეციალურ ცოდნით შეიარაღებულ პირებისა. ამ სფეროში უცხოელები ბატონობენ. ამას, ცხადია, ვერ შეურიგდებით დიდხნობით, გამოსავალი გზა კი მხოლოდ ერთია. სპეციალურ ცოდნას იძლევა უნივერსიტეტი და აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი ჩვენი ქვეყნის მესვეურთა მთელი ყურადღება. ეს საკითხი დღეს უკვე საკმაოდ მომწიფებულია. ამ უკანასკნელ ხანებში მას უკვე მიაქცია ყურადღება პრესამაც, სადაც ავტორები სხვადასხვა პრაქტიკული ზომებს ურჩევენ საზოგადოებას. მაგრამ ყველანი ერთ რამეს ამბობენ ხაზგასმით: ეს არის ის, რომ დახმარების ფართო მასშტაბით მოწყობა აუცილებელია. ეს უნდა მოხდეს, რაც შეიძლება მოკლე ხანში. რამდენადაც სასწრაფოთ იქნება იგი მოგვარებული, იმდენათ უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი მომავალი. ამ საკითხის გარშემო ჩვენ ვიცით არის მუშაობა სტუდენტთა კავშირის გამგეობაში, პროფესოროთა საბჭოში და სხ. როგორც გადმოგვცემენ ამ საქმის შესახებ მზადდება პროექტი მთავრობაში წარსადგენათ. ჩვენის ღრმა რწმენით ამ ჩვენის პროგრესისათვის უდიდესი მნიშვნელობის პროექტს გაეწევა შესაფერი ანგარიში და იგი დაჩქარებით გადაეცემი, სადაც ჯერ არს, საბოლოვო დასამტკიცებლად და ამრიგად, ხმა ღარიბ სტუდენტობისა არ დარჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

**დ. კ—ლი.**

## ს. დ.-პარტიაში

**გურია.** 3 ივლისს შესდგა გურიის სოც.-დემ. კომიტეტის სასწრაფო სხდომა, განსახილველი იყო საკითხი პარტიული მუშაობის შესახებ. კრებაზე გამოცხადდა 40 წევრი სულ—30 რაიონული ორგანიზაციიდან. დღის წესრიგში მთავარ კითხვის გარდა დაისვა კიდევ შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, გვარდიის შესახებ, ფინანსიური მდგომარეობა, მარქსისტთა ორგანიზაცია და სხვა. პირველათ მოხსენებას აკეთებენ რაიონებიდან. გამოირკვა შემდეგი:

გვარდიისა და ჯარის-კაცთა მობილიზაციამ ჩამოაცილა მაზრას საუკეთესო ელემენტები, ზოგი რაიონები მოწინავეებიდან სრულიად დაცლილია; ვინც დარჩა,—გაბმულია აუარებელ ფრონტთან დაკავშირებულ დ სხვა საზოგადო და სახელმწიფო ხასიათის საქმეებში; ამას ემატება ჩვეულებრივი ინდიფერენტიზმი და ამით პარტიული მუშაობა ბევრ რაიონში სრულიად მიიჩრდილა. ბოლშევიკები ფართოთ სარგებლობენ ასეთი მდგომარეობით, ისინი მუშაობენ არა მარტო ლეგალურათ, არამედ უფრო მეტად არა ლეგალურათაც, ხასიათი მათი მოღვაწეობისა რჩება ისევ ძველი: ისინი წინააღმდეგნი არიან ჩვენი დამოუკიდებლობისა, ეტყობა, რომ მათში ძლიერ ბევრი ფული ტრიალებს, გაზეთებს უფასოდ არიგებენ და სხ.

ადგილიდან მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი. პრეზიდიუმის წარმომადგენელი მ. რამიშვილი აცხადებს, რომ იმ დროს, როცა ყოველ მხრივ მტერი გვესხმის,—ბოლშევიკები სარგებლობენ სახელმწიფოს გაჭირვებული მდგომარეობით და ცდილობენ ჩვენი ზურგი მოშალონ, თავდაცვის უნარი წაგვართვან; ისინი მუდამ მოღალატის როლს ასრულებდენ და დღესაც ასრულებენ. ასეთი მდგომარეობა მძლავრათ გვიკარნახებს გავაძლიეროთ პარტიული მუშაობა, მორალურათ მოვკლათ ბოლშევიკები ხალხის თვალში; ჩვენ ამის მრავალი საბუთი და საშუალებაც გვაქვს, საჭიროა მხოლოდ მუშაობა. ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ—ეს იგივე პარტიული მუშაობა არის და აქედან ბუნებრივათ ისმება საკითხი პარტიული მუშაობის გაძლიერების შესახებ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მიმდინარე რთული მომენტი მოითხოვს პარტიული მუშაობის მაქსიმუმამდე გაძლიერებას. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ბრძოლა იმ უპასუხის-მგებლო ელემენტების წინააღმდეგ, რომლებმაც ლეგალური თუ არა ლეგალური გზით უკვე გააჩაღებს მუშაობა წინააღმდეგ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და არსებული დემოკრატიული წყობილებისა.

კომიტეტი ადგენს: განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რაიონებში ორგანიზაციულ და იდეურ მუშაობას, უმთავრესად პარტიულ ძირითად ერთეულებში.

საქართველოს ს. დ. მ. პარტიის მეორე ყრილობის შესახებ გაკეთდეს რაიონებში ფართო მოხსენებები.

მოეწყოს საჯარო მოხსენებები მასაში მომენტზე, მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პოლიტიკისა და მუშაობის შესახებ და სხვა საკითხებზე.

იდეური მუშაობის საწარმოებლათ დაუყოვნებლივ დაარსდეს ყოველ რაიონულ კოლექტივთან მომხსენებელთა კოლეგია.

დაარსდეს საპროპაგანდო კოლეგია კომიტეტის პრეზიდიუმთან, რომლის მოვალეობაც იქნება რაიონულ კოლეგიების მუშაობის გაერთიანება და საზოგადოთ იდეური მუშაობის წარმოება სამაზრო მასშტაბით.

რომ პრეზიდიუმს საშუალება დაურჩეს გამოიყენოს პარტიულ-იდეური მუშაობის გასაძლიერებლათ მოწინავე ამხანაგები, ყველა პარტიის წევრი გამოცხადდეს პრეზიდიუმის განკარგულებაში. პარტიის წევრი თავისუფალი, თუ ამა თუ იმ დაწესებულებაში მომუშავე, ვალდებულია უსიტყვოთ დაემორჩილოს პრეზიდიუმის განკარგულებას.

პრეზიდიუმს ევალება ყოველ რაიონში თითო პასუხისმგებელ ამხანაგის დანიშვნა.

პრეზიდიუმს ევალება სათანადო ინსტრუქციის შედგენა და ორგანიზაციებისთვის დაგზავნა ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების დროს სახელმძღვანელოთ.

ამასთანავე დაევალოს პრეზიდიუმს იშუამდგომლოს ცეკას წინაშე, რომ გამოგზავნოს ამ ზაფხულზე გურიაში რამდენიმე ხნით თავისუფალი ამხანაგები ცენტრიდან საჯარო მოხსენებების გასაკეთებლათ.

ამასთანავე კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება ბოლშევიკების არალეგალური მუშაობის საწინააღმდეგო ზომების შესახებაც.

გვარდიის შესახებ მოხსენებას აკეთებს შტაბის წევრი ამხ. ბაჟუნაიშვილი, ის დაწვრილებით აცნობს კრებას გმირულ მოქმედებას გურიის გვარდიისას ადერბეიჯანისა და ცხინვალის ფრონტზე, მოხსენების მოსმენის შემდეგ კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. მ. ბაჟუნაიშვილისა სახალხო გვარდიის გურიის ბატალიონის გმირული მოქმედების შესახებ ადერბეიჯანისა და ცხინვალის ფრონტებზე, კომიტეტი გამოსთქვამს ღრმა კმაყოფილებას თავის წიაღიდან გამოსულ გვარდიის სახელოვან მოქმედების გამო, უცხადებს მას დიდ მადლობას და იმედს გამოსთქვამს, რომ ის კვლავ არ დახრის ძირს მაღლათ აღმართულ რევოლიუციონურ დროშას და საჭიროების დროს—კვლავ ერთსულოვანათ გამოეხმაურება რევოლიუციონური დემოკრატიის ბელადთა გამოძახილს, მედგრათ აღსდგება სამშობლოსა და თავისუფლების მტერთა წინააღმდეგ და ისევ ძლევა-მოსილი დაუბრუნდება თავის ყოველ დღიურ რევოლიუციონურ-აღმშენებლობით მუშაობას, როგორც ეხლა ბრუნდება ის“.

ფინანსიური მდგომარეობის შესახებ კომიტეტი ადგენს: „დაევალოს ორგანიზაციებს მეტი ყურადღება მიაქციონ საწევრო გადასახადის წესიერათ დაგროვებას და ხვედრი ნაწილის კომიტეტის სალაროში შემოტანას, აგრეთვე ამ ზაფხულის განმავლობაში პარტიის სასარგებლოთ აუცილებლათ მოეწყოს შემოსავლიანი საღამოები, წარმოდგენები, სეირნობა ან სხვა რაიმე, რომლის 3—4 ნაწილი აუცილებლათ გადაეცეს კომიტეტს“.

მარქსისტთა ორგანიზაციის შესახებ კომიტეტმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მარქსისტთა ორგანიზაციების მოწყობას ახალგაზრდებში, გაეწიოს მათ იდეური ხელმძღვანელობა და აგრეთვე აღმოეჩინოს ნივთიერი დახმარებაც“.

კომიტეტმა გაარჩია კიდევ რამდენიმე წვრილმანი საკითხი და მიიღო მათ შესახებ სათანადო დადგენილებანი.

— კომიტეტის პრეზიდიუმთან, უკვე [illegible]

ამ მუშაობის საწარმოებლათ, ე. ი. ძირითად ერთეულებში, კოლექტივსა და მასიურ კრებებზე მოხსენებათა მოსაწყობათ და საზოგადოთ საკოლექტივოში იდეური მუშაობის საწარმოებლათ, კოლექტივთან უნდა დაარსდეს მომხსენებელთა კოლეგია, რომელშიაც კოლექტივი ირჩევს მოწინავე ამხანაგებს, როგორც თავის წრიდან, ისე გარედანაც.

**შენიშვნა:** ასეთი კოლეგია მკითხველთა წრის სახით სდგება ყველა ძირითად ერთეულში, რომლის მოვალეობაც იქნება ერთეულების კრებებზე ჟურნალ-გაზეთებისა და სათანადო წიგნების კითხვა-გარჩევა.

მომხსენებელთა კოლეგიის მოვალეობას შეადგენს მოხსენებების მოწყობა ერთეულებში, კოლექტივის კრებებზე, რაიონულ პარტიულ ყრილობებზე, მასიურ კრებებზე და სხვა. ის აწყობს აგრეთვე, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, სამეცნიერო წრეებსაც პროგრამული საკითხებისა და მარქსისტული მოძღვრების შესასწავლათ.

რაიონული მომხსენებელთა კოლეგია ვალდებულია ყოველთვის ბოლოს ადგილის გურიის კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ ცენტრალურ საპროპაგანდო კოლეგიაში წერილობითი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მოხსენება გაკეთდა გასული თვის განმავლობაში რაიონში პარტიულ კრებებზე მასაში და რა თემებზე, თუ არ გაკეთებულა-რა მიზეზით და საზოგადოთ როგორ მიმდინარეობს იდეური მუშაობა რაიონში.

თუ კოლეგია ადგილობრივათ ვერ გამონახავს საკმაო მომზადებულ ძალებს, მაშინ ის მომხსენებლებისათვის მიმართავს ცენტრალურ საპროპაგანდო კომისიას.

რაიონული კოლექტივი საჩქაროთ ახდენს რეგისტრაციას ადგილობრივათ მყოფ მოწინავე ამხანაგებისა, რომელთაც შეეძლებათ მოხსენების გაკეთება და ასეთების სიას დაუყოვნებლივ უგზავნის პრეზიდიუმს.

პრეზიდიუმს ყოველ რაიონში ჰყავს თითო თავისი რწმუნებული, რომელიც ხელმძღვანელობს და აერთიანებს ყველა პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას რაიონში და პასუხს აგებს პრეზიდიუმის წინაშე.

რაიონული ორგანიზაციები ვალდებულნი ირიან დაუყოვნებლივ შეუდგენ მუშაობას ამ ინსტრუქციის თანახმად, შეადგინონ მომხსენებელთა კოლეგიები, აამუშაონ რაიონში მთელი პარტიული აპარატი, აძლიონ ხშირი ცნობები ცენტრს.

დაუღალავი შრომა და სასტიკი დისციპლინა—აი რა არის თავდები პარტიული მუშაობის გაძლიერებისა.

— ს. ს. დ. მ. პ. მე 2 ყრილობაზე მყოფი ამხანაგები უკვე შეუდგენ მოხსენებების გაკეთებას გურიის ორგანიზაციებში საჯარო პარტიულ კრებებზე—ყრილობის მუშაობა დადგენილებების შესახებ. ამ დღეებში მოხსენებები გააკეთეს: გოგუაძე—ხვარბეთის ორგანიზაციაში, გრ. კოპლატაძემ—ნატანებისაში, ე. საბაშვილმა—ოზურგეთისა და ლიხაურისაში. ორგანიზაციები ყოველგან იღებენ ყრილობის დადგენილებებს და ადგენენ გაატარონ ისინი ცხოვრებაში.

**ხუსეინ.**

## მუშათა შორის

**მთავარი პურის საცხობში.** ის პური, რომელიც რკინის გზელ მუშებს ეძლევათ, ხშირათ მდარე ღირსებისა არის. პური ხან ცუდათ არის გამომცხვარი, ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩალა ჩულები ურევია პურში. ასეთ მდგომარეობას მიაქციეს ყურადღება სასურსათო კომიტეტის დროებითი თავმჯდომარემ ამხ. ბოკერიამ, მთავარმა რწმუნებულმა ვ. თხილავამ, სახაზინო რკინის გზების რწმუნებულმა ნ. კალაძემ და გარაჟის გამგე ვ. ვაშაკიძემ. 23 ივლისს მოახდინეს რევიზია პურის საცხობების და წისქვილების. გამოირკვა, რომ საცხობში არ არის სისუფთავე დაცული, ფქვილს ხშირად არ სცრიან და სხვა. ხსენებულმა პირებმა უსასტიკესი გაფრთხილება მისცეს პურის მცხობლებს, წისქვილებში და დუქნებში პუ- [illegible]

## პროვინცია

[illegible]

დავ, რომ კითხვა ძალიან სერიოზულია საჭიროა გადაიდვას კრება მომავალ კვირისათვის და იქნას ზომები მიღებული, რათა წევრების უმრავლესობა დაესწროსო. ხალხი ღელავს, ხმა გავარდნილა, რომ საგანგებო კომისიას გამგეობის მიერ ჩადენილი ბოროტ-მოქმედება უფრო გაუდიდებია. მას აღმოუჩენია ნაცვლად 27,000 მანეთისა 47,000 მ. წევრები მოითხოვენ დღესვე საქმის გარჩევას, ვინაიდან კრება მეოთხეთ არის მოწვეული... კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. ვლ. პაპავა. ხალხი ღელავს გამგეობის წევრების გამოუცხადებლობის გამო. თავმჯდომარემ კრების დავალებით განკარგულება გასცა „გამგეობის“ წევრების დატუსაღებლათ. შემადგენლობა გამგეობისა 3 წევრისაგან შესდგება. თავმჯდომარე ვლ. კაკაურიძე, (ადგილობრივი სპეკულიანტია) კ. გუგუტაშვილი (ადგილობრივი მედავითნე) და ვ. მათურელი (ერობის კასირია). პირველი ორი ეროვნულ დემოკრატებია, უკანასკნელი ფედერალისტია. საგანგებო კომისია აკეთებს მოხსენებას, რომელსაც აღმოუჩენია 47,000 მან. გაფლანგული იმ საბუთებიდან რაც ყოფილა, მხოლოდ ამბობს კომისია, რომ ბოროტმოქმედება გამგეობის მიერ ძალიან დიდია ჩადენილი. მაგრამ ამის დამტკიცება ძნელია, ვინაიდან საბუთები არ არისო. ეს ბოროტება იქიდან სჩანს, რომ მოტანილი საქონელი, წიგნებში არ არის შეტანილი ალბათ ბოროტი განზრახვით, რაც შესაძლებელია უდრიდეს ასი ათასებსო. ადმინისტრაციის დატუსაღებული მოყავს „გამგეობის“ წევრები. სამარისებური სიჩუმეა... დაიწყო შეკითხვები, გამგეობა სდუმს. ამბობენ გამგეობის წევრები მხოლოდ იმას, რომ თანახმანი ვართ გადავიხადოთ 47,000 მანეთიო. ეროვნულ დემოკრატებს ხმა არ ამოუღიათ, სოც.-დემ. ორატორებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს გამგეობის ასეთი, ჯერ არ ნახული, მოქმედება და ხაზგასმით მოითხოვდნენ გამგეობის პასუხისგებაში მიცემას მათ ოფიციალურ სასამართლოში მიცემას. ფედერალისტების „კრიტიკა“ მხოლოდ ზიზღის გამოცხადებით დაკმაყოფილდა, რაც სამწუხაროდ, კრებისაგან მიღებულ იქნა. ფედერალისტები ყვიროდნენ „გამგეობამ კოოპერატივის ქონება შესვლიპაო და ბოლოს მარტო „ზიზღი“ გამოუვიდათ. ეს ალბათ იმიტომ, რომ გამგეობის ერთი წევრი ვ. მათურელი ფედერალისტია.

დასასრულ საჭირო შეიქნა გარანტია, რომ გაფლანგული ფული ერთი კვირის ვადაში გადაეხადათ. ვექსილი მიუღებელი შეიქნა, თავდებად არავინ დაუდგათ... ბოლოს საზოგადო კრებამ დიდი კამათის შემდეგ გამოიტანა ასეთი დადგენილება: ვალდებულია ძველი გამგეობა, ერთი კვირის განმავლობაში ე. ი, 11 ივლისამდე გადაიხადოს 47,000 მან. კოოპერატივისა, და უკეთუ ამ ერთი კვირის განმავლობაში ეს თანხა არ იქნას გადახდილი, შემდეგ დაუყოვნებლივ იქნან დატუსაღებულნი და მათი საქმე გადაეცეს ოფიციალურ სასამართლოს. ამ საქმის სისრულეში მოყვანა ევალება საზოგადო კრების მიერ, ახლად არჩეულ გამგეობას. ამის შემდეგ აირჩა სარევიზიო კომისია.

27 ივნისის დაუბოლავებელ საზოგადო კრებაზე აერჩიათ გამგეობა ხუთი კაცისაგან; პრ. მ. დოლიძე, ვ. ჯიბლაძე, კ. მაღალაშვილი, ა. დოლიაშვილი და გამრეკელი. ოთხ ივლისს კი სარევიზიო კომისია სამი კაცისაგან; კონ. ბრეგვაძე, ი. აბრამიშვილი და ლ. დოლიაშვილი. მათ კანდიდატებათ იასე ჯორბენაძე და დეკანოზი ჯინჭარაძე.

**მეტეორი.**

---

**ჭიათურა.** 15 ივლისს, საღამოს 5 ს. ბათომიდან ჩამოვიდნენ ჭიათურა-საჩხერის გვარდიელები, რომლებიც ადერბეიჯანის ფრონტზე შეუპოვრად და თავგანწირვით იბრძოდნენ.

სამწუხაროდ, მათი აქ ჩამოსვლის ცნობა მხოლოთ რამდენიმე საათით ადრე გაეგო შტაბს—ამიტომ მუშათა ორგანიზაციებმა ვერ მოასწრეს სათანადოთ დახვედრობდნენ ამხ. მუშა-გვარდიელებს სადგურზე შეეგებნენ: შტაბის თავმჯდომარე წევრებით, მუშები დ მოქალაქენი; სადგურიდან, შტაბის შემადგენლობით და ოფიც. ქურციკიძის წინამძღოლობით გვარდია დროშით გაემართა ბაზრისკენ, ლაშქრული და რევოლიუციონური სიმღერებით. შემოუარეს ბაზარს და მივიდნენ შტაბის სადგომში, სადაც მათვის დამზადებული იყო ვახშამი. გვარდიელები ყოჩაღათ-მხიარულათ გამოიყურებიან, ჩაცმულნიც კარგათ არიან.

**პლ. ოხრობელი.**

## წერილი რედ. მიმართ

გულითად მადლობას ვუძღვნი იმათ, ვინც მოსე ჭყონიას და ნინო ცაგარელის ასულის თაოსნობით, აღმომიჩინეს მატერიალური დახმარება. შემომწირეს ორასი მანეთი თითეულმა: ვ. თხილავამ და ვ. ბოკერიამ, 100 მ. მოსე ჭყონიამ, მიხა შენგელაიამ, პიმენ კახეთელიძემ, ეკალაძემ, ლ. კუპრაშვილმა; 50 მან.—ნინო ცაგარელმა, ერ. დვალიშვილმა, ნ. ბერეჟიანმა, მ. კამკამაძემ, ფ. შანიძემ, ფარცხაძემ, დვალაძემ, ე. ლუკაშვილმა, ვ. სიხარულიძემ და კიდევ სამმა პირმა *); 25 მან.—ან. ელენტმა, 20 მ., ე. გოგოლაძემ, ნ. მეგრელიშვილმა.

**აკაკი დარჩმელიძე**

## ცნობები

სათადარიგო ჯარისკაცი ანდრია წულაია გაწვეული ომში 1914 წ. მსახურობდა 204 არდაგან-მიხაილოვის პოლკში, ამ პოლკის დაკარგვის შემდეგ იქნა წაყვანილი გერმანიაში ტყვედ, საიდანაც იწერებოდა წერილს ლაგერი № 2257. 1919 წლიდან მიატია წერილის წერა და არავითარი ამბავი არ ვიცი მის შესახებ. უმორჩილესად ვთხოვ ყველა ყოფილ მის ამხანაგებს თუ რაიმე იციან მის შესახებ შემატყობინონ ამ მისამართით: სადგური ჭალადიდი ლევანტი წულაიას.

---

*) გვარები ვერ გავარჩიეთ. რედ.

---

რედაქტორი ლევან ნათაძე.

## განცხადებანი

მოითხოვეთ ფრანგული კრემი სხვადასხვა ფერის ფეხსაცმელისათვის

✦✦ „NOBLESSE" ✦✦

რომელიც ინახავს ფეხსაცმელს გაფუჭებისაგან და აძლევს საუცხოვო ფერს და ბრწყინვალებას. იყიდება თფილისის, ბათომის, ქუთაისის, ფოთის და ერევნის საუკეთესო მაღაზიებში. (2434—2—2)

---

იყიდება

საჩქაროდ სხვაგან წასვლისა გამო ახალი მეწველი ძროხა, მისამართი: ვოგზალთან ახლოს ანდრეევის ქუჩა № 74 ბინა 3. მეორე სართული, ხატიაშვილი. (2422—2—2)

---

ე ქ ი მ ი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

---

ე ქ ი მ ი

ქ. გ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაჩნაძის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

---

ექიმი ივ. ბოკერია

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 14. სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ ქირურგ., ქალის სნეულებანი და საშარდე. შერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

---

დ ო ქ ტ ო რ ი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

---

ე ქ ი მ ი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

---

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

---

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

---

ექიმი ლ. ა. სარალიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

---

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ვეტერინარი—ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კახით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

---

ყ. სრულ-უფლებიან ვიმნაზიის გამგე მათემატიკის

მასწავლებელი

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1)

---

ე ქ ი მ ი

გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

---

ე ქ ი მ ი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

---

ე ქ ი მ ი

ხაიმ-ლეიბ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5 ტელეფ. 10—55. (1742—)

---

ე ქ ი მ ი

ნ. მ. ბაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

---

ა. წ. 26 ივლისიდან სასაკლაოს ქარხანაში დაიწყება ყინულის დამზადება

ყინულის მიღების მსურველს ვსთხოვთ შემოიტანოს განცხადება ამა თვის 25-დე: ან სასაკლაოს კანტორაში (ნავთლუღი) ან ქალაქის თვითმართველობის 3-მე განყოფილების კანცელარიაში, სადაც შეიძლება პირობების გაგებაც.

ქალაქის **სახაკლაო.** (2423—3—2)

---

იყიდება

მოძრავი კინემატოგრაფი

ადვილი გადასატანი ადგილიდან ადგილზე, სრული მოწყობილობით (მოტორი, დინამო, აპარატი და სხვა) ერთათ ან ნაწილ-ნაწილათ **ხელსაყრელ ფასებში.** ადრესი კადეტის შესახვევი № 9. (2431—3—2)

---

იყიდება

ერთი უჩასტკა მიწა კახეთის ქ. (ნავთლუღში, სადაც ტრამვაი უხვევს სამხედრო გოსპიტლისაკენ) პირობების გაგება შეიძლება ვ. მ. მეგრელიშვილთან ევროპიულ-კავკასიის ბანკში (რუსთაველის და ბარიატინსკის ქუჩების კუთხე) დილის 10—3 ს. (2432—3—2)

---

თფილისის მაზრის ერობა

აცხადებს, რომ 30 ივლისს 1 საათზე (რუსთაველის პრ. 6) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ალბულახის გზის ხიდეების სამუშაოების იჯარით გასაცემათ. საწინდარი უნდა შემოიტანოს ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა 15000 მან. სამუშაოები შეფასებულია—180000 მანეთად. (2435—2—2)